

1901/2 Ե. 9. № VI Կ. 1

ՅԱՀԱՆԱԿԱՐԱ
ՀԱՅՈՒԹՅՈՒՆ

ՅԱՀԱՆԱԿԱՐԱ

ՅԱՀԱՆԱԿԱՐԱ



ՈՅԵՐԵՐ 1901

უ რ ნ ა ლ ့ „ ჯ ე ჯ ი ლ ი ს “

၃၃

I	ყ მ ა წ ე ი ლ ი ს	ს ი მ ლ ე რ ა	(ლ ე ქ ს -)	- დ.	თ ა მ ა შ ე ი ლ ი ს	3
II	დ ა ს ჯ ი ლ ი	უ ს ა მ ა რ ი თ ლ ი ბ ა	- გ ა შ ე ნ დ ა	ტ ა ტ ი შ ე ი ლ ი ს	4
III	დ ე დ ა	უ უ ტ უ რ ი ს	ნ ა მ ბ ო ბ ი	(დ ა ს ა ს ჩ უ ლ ი)	- ა პ.	წ ე დ ა მ ი ს	9
IV	კ უ ა ვ ი ლ ე ბ ი ს	გ ვ ი რ ვ ე ი ნ ი	(თ ა რ გ მ ა ნ ი)	- ს.	ც ა ფ ი შ ე ი ლ ი ს	16
V	დ ი რ ი ს	ქ ვ ე ლ ი	ქ უ დ ი	ვ ი ნ	მ ი რ ხ მ ა რ ა	- ქ ა ს - ი მ ე რ დ ი ს	23
VI	ს პ ი ლ ი	დ ა	ვ ე ფ ე ვ ი	(რ უ ს უ ლ ი დ ა ნ)	- ს.	ც ა ფ ი შ ე ი ლ ი ს	25
VII	ლ ე დ ი	ჯ ე ნ,	მ ო თ ხ რ ი ბ ა	, გ ა კ რ ძ ე ლ ე ბ ა	(თ ა რ გ მ ა ნ ი)	- ე .	წ ე .	რ ე ფ ე ლ ი ს	31
VIII	ბ ა ქ ტ ე რ ი ე ბ ი	ა ნ უ	ბ ა ც ი ლ ე ბ ი	- ი .	გ რ მ ა რ ი თ ლ ი ს	46
IX	ქ ი ს	ს ა უ კ უ რ ი ს	ბ ა ე შ ე ბ ი	(შ ე მ დ ე ვ ი)	- ე ჭ .	შ - ს	51
X	წ ე რ ი ლ მ ა ნ ი :	ა ქ რ ა ს ტ ი ხ ი ,	ა ნ დ ა ს ტ ე ბ ი ,	ა ნ ა ვ რ ა მ ა ,	გ ა მ ი უ ც წ ე ბ ი ,	ჩ ა რ ა რ ა - გ ა მ ი ს ა თ ქ მ ე ლ ი ,	შ ა რ ა დ ა	დ ა	ზ მ ა	61

თ ა ნ ხ მ ა თ მ ა თ ი ყ ო ვ ლ ა დ უ ს ა მ დ ვ დ ე ლ ე ლ ე ს ი პ ი ს ს ა -
 ქ ა რ ი თ ვ ე ლ ი ს ე ვ ზ ა რ კ ა ს ი ს დ ა მ ტ კ ი ც ე ბ ი ს , თ ა ლ ი ლ ი ს ი ს ს ა -
 ე პ ა რ ე ი თ რ ჩ ე ვ ა მ , 17 ო ქ ტ ი მ ხ ე რ ს , 1897 წ . გ ა დ ა -
 წ უ ვ ი ტ ა ქ ა რ ი თ ვ ლ ი ს ა უ მ ა წ ვ ი ლ ი უ რ ნ ა ლ ი „ ჯ ე ჯ ი ლ ი “
 ს ა ქ ა რ ი თ ვ ე ლ ი ს ე პ ა რ ე ი ს ს ა მ რ ე ვ ლ ი ს კ ო ლ ე ბ შ ი მ ი ლ ე -
 ბ ჟ ლ ი ი ქ მ ნ ა ს । ა ხ მ ა რ ე ბ ჟ ა თ .

უ რ ნ ა ლ ့ « ჯ ე ჯ ი ლ ი ს » რ ე დ ა ქ უ რ ა თ ხ ვ ე ს ხ ე ლ ი ს - მ ო მ წ ე რ -
 ლ ე ბ ი ს , ვ ი ს ა ც ს რ ე ბ ა ნ ი თ ბ რ ი ს მ ე მ რ უ ტ ა ნ ი თ უ ტ ლ ი , დ რ ი ტ ე
 შ ე მ ი რ ი ტ ა ნ ი ნ ი . წ ი ნ ა ა დ მ დ ე გ ი შ ე მ თ ხ ე ვ ა მ ი უ რ ნ ა ლ ი შ ი რ ე ლ ი
 ი ქ ლ ი ს ი ღ ა ნ მ ი ე ს ა მ ბ ა თ .

ԱՐԵՎԵՆԻ

ՏԱՐԱՎԻՇՑՈՂԾ ԽԱՏԹԱՑՑՈՒՆՈ

ԱՐԵՎԵՆԻ

Օհաշք, միշտ յայտնա
դաշտում, զարդ յանառ!...

Օ. Պ.

№ VI

Վալովագո պատուհանու կու



ԳՅՈՂՈՒՆ

Արամի թ. 3. Ռուսիանցին, № 41 | Տիպ. Տ. Մ. Ռոտինանց, Գօլ. քր. № 41

1901



Дозволено цензурою. Тифлисъ, 7-го Июня 1901 г.

უმარვილის სიმღერა.



Rიტუნიავ, ფრთა გაშალე,
 ცის კამარას გაეგარი!
 გახაფხულის მოციქულო,
 ჰელვენ და გაქვს შენ გარი.
 მაღლა ცას და მირს ქვეუჩას
 გულ-ძაძეერი ხმა შეტეორუნე,
 ჩვენ ბაღშიაც წაჭიჭივდი,
 ვარდს ფოთლები დაუკოცნე.
 ჩვენი სახლის დერეფნშიც
 იყოქრიალე, ინაგარდე,
 მაგრამ ფრთხილათ,— ჩვენს წერპ გატას
 სელში არსად ჩაუვარდე!..
 ჭიჭივობ და საქმიანობ,
 ამაქბით გიმეურს გული...
 მეც ამ გვარათ მანეტარე,
 სანამ მიღვას გახაფხული!..

დ. თომაშვილი.

დაჭილი უსამართლობა.

I



ტოთ განაფხულის დილას მე და მამა ჩემი ენობი დაუსეირნობდით; ის მე რაღაცაებს მიხსნიდა და მეც უკის ჭუდებდი. ამ დროს ხენი თდის ფარდულ ქვეშ მერცხლის ბუდე შევნიშნე; ეს ბუდე იუ ძალას გრძელი, ზემო ჭერზე მიშენებული იმ რიგათ, რომ მსოფლიო თრი მსრით ჰქონდა პარაზა ჭურტუმალები: ერთი სამსრეთით და მეორე-კი ჩრდილოეთით. ერთი ჭურტუმალიდან გაძოვულთ უკითელი ნისკარტები მერცხლის ბარტეებს და ართმევდენ დედ-მამას მიწოდებულ საჭმელს და მეორეში-კი მოჩანდენ ბეღურების ბარტეები. ამ სისა-და-სისა ჩიტუნიების ერთათ ცხოვრებაში იმ რიგათ გამაჭვირება, რომ მამას კვითხე: ესენი როგორ დამეცაბრებულან-მეთქი. იმან ასე ამიხსნა:

— აქ მეგობრობა არაფერის შუაშია; შრომის მოუპარე მერცხლებს აუშენებით სელოვნურათ თავისი საზაფხუ-

ლო სახლი; ეტეობა გაუთავებიათ თუ არა ეს სახლი, ზარმაც ბეღურაებს წაურთმევიათ და თვითონ მოთავსებულან შიგ: მერცხლებს წინააღმდეგიანა კერ გაუწევიათ და დაუწებებიათ თავისი ნამრობი და ოობ თვითონ უსახლეკაროთ არ დარჩენილიუკენ, მეორე ბუდე მოუშენებიათ იქვე და იქ დასახლებულან. ამიტომაც არის ბუდე ასეთი გრძელი, ოობ თრი ოჯახისთვის არის მოწეობილი. ჭირსე რომ მიძინებულია ბუდე ეს ამტკიცებს მერცხლის ნიჭის და სელოუნებას, რადგან იმ მხრით, სადაც მას ბუდე გაუკუთხებიათ ქვენა ქარი სცემს და თავ-ახდილ ბუდეში ბარტუები დაეხოცებოდათო. კვლავ გაზაფხული რომ დადგება თვალი ადევნე მაგ ბუდეებს, გვინი თავიანთ ჩვეულებას არ მოიშლიან და მერცხლებს მათ გაკეთებულ ბუდეს უსამართლოთ წაართმევენ.

II

გავიდა ღრო, დადგა ზაფხული, შემოდგომა, მას მოჰქვა ზამთარი და შემდგომ გაზაფხულის თბილის ჭირმა ააუვავა ხეები. ერთხელ მე ვიჯექ და კვითხულობდი ფრინვლების ცნოვების აღწერას, უკრათ შემოტრინდა თრი მერცხალი, რადგა ნაირათ აივნის ფიცრებზე მიუტემპენ და ისეთი საამო ხმით იწეს ას მერცხლებმა ჭიჭიკი და ჭდურტელი, თითქო დმერთს მაღლობას სწირავდენ, რომ სამ-



შობლობი მშეიდობით დაბრუნდენ. დიდხანს არ დასწირდათ
შორის მოუგარე მერცხლებს დასკენება; იწეს მოწმენ-
დილ ცის სივრცეში ფრენა და ნავარდი და მეორე დღეს-
კე მიჯევეს ხელი თავის ბერის მენებას. სისწავით და და-
უდალავათ მოჭქინდათ მათ დილიდნ სადამოძის სკელი
მიწა, თივა და ბზე და აწეობდენ ერთი მეორეზე, ამ რიგათ
მალე წამოჭიმეს მშენიერი სახლი, მაგრამ ახლა-კი ისეთ
ადგილს იუ-ეს სახლი ამენებული, რომ ქვენა ქარი არ
მოსვდებოდა, ამიტომ თავი ანდილი დაუტოვის. ამ სახლის
აშენების დროს ორი ბეღურა, კუთხემი მიმალულები, მუ-
დამ ადევნებდენ მერცხლების შრომას თვალს; სან-და-სან-კი,
როცა მერცხლები წავიდოდენ შენობის მასალისთვის, ბე-
ღურაები ქურდეულათ გამოფრინდებოდენ, ფრთხილათ და-
თვალიურებდენ მერცხლების შენობას, თითქო ხუროთ-
მოძღვრები არიანთ და ისევ მიმალულებოდენ თავიანთ სა-
ფარში.

მე ამ გარემოებამ მომავალი შეძის ნათქვამი: «ეგნი
თავიანთ ჩვეულებას კერ მოიძლიანო», და კიდევ უფრო
დავუწევ მათ თვალის დევნება. სწორეთ იმ ღრის, როდესაც
მერცხლებმა დაასრულეს თავისი შესობა იმოდენათ, რომ
შიგნით მოწეობის მეტი ძღვანი სწირდებოდათ-რა, შეგ ჩავ-
დენ ორივე მერცხალი და დაიწეს საამო ჭიჭრი. მაგრამ
ეს მათი ტებილი ჭიჭრი უმცრათ წივილ-კვიდათ გად-
იცა; ამ სმაურობაზე გამოყარდი გარეთ და დავინახე, რომ

მერცხლის ბუღეში ბეღურები ჩამსხდარიუგენ, მერცხლები-კი
მწარე წივილით თავს დასტრიალებდენ. მაღის მემკულდა
საბრალო მერცხლები, ავიდე ხელში გრძელ ტარიანი ცოც-
ხი და ფურცუსით გაკდევნე ეს დაუპატიუმბელი სტუმრები.

ამ გვარმა ბრძოლაშ წროვეთ ერთ კვირას გასტანა და
ბეღურები-კი მაინც ვერ მოვიძორე. დავპორუნდებოდი თუ არა
სკოლიდან მერცხლის ბუღე რაღაცა ბალაბურდოთი და-
მიხვდებოდა გამოტესნილი; გავაჭრენდი ბეღურაებს, ამოვერი-
დი ამ ბალაბურდოს თუ არა მეორე დღეს ისევ ისე და-
მხვდებოდა. მერცხლებს დაქარგათ იმედი, რომ თავისი ნა-
შრომი დაებრუნებინათ და გასწიეს სადღაც, ალბათ სხვა
ბუღის გასაყეთებლათ. ამისთანა უსამართლობაშ თვალებში
ცოქლები მოგვარა, მაგრამ მაპაშ დამამშვიდა ამ სიტყვე-
ბით: მერცხლები ხომ აღარ დაბრუნდებიან, და ახლა მაგ
ბეღურაების ცხოვრებას ადევნე თვალი. თანაც დაუმხტა:
არც მაგათ შერჩებათ ამისთანა უსამართლობაო.

III

ბეღურებებმა მოიძორეს თავიდან მერცხლები თუ არა,
ბალაბურდო გადმოვარეს ბუღიდან ძირს და მის მაგივ-
რათ მოიტანეს წმინდა თივა, ფრინველის ბუმბულები და
იმითი მოაგეს ეს სხვის აქენებული სადგომი. ცოტა ხანს
შემდეგ გამოჩემს ჩაწარა ბარტები. მე ვხედავდი ეთველ დღე

როგორ იზრდებოდენ ესენი ჩემ თვალ წინ, როგორ იმო-
 სებოდენ ბუმბულით და როგო მოჭრინდათ მათ ღეღ-მამას
 საჭმელი, როგორ ერთბაშათ უკელანი დააღებდენ უკოცელ
 ნისკარტებს საჭმლის მისაღებათ. მე ასლა ესენიც შემიუ-
 ვარდენ.

გავიდა ღრო, ბარტებს კერ კიდგვ ფრთები — არ
 ჰქონდათ შესხმული, რომ უეცრათ მოიგლიჯა ფიცრიდან
 ბუდე და შეჭებს საბრალოებბა იატაკზე ტეატრ-ტეატრი. საი-
 დანდაც მოულოდნელათ გამოხტა კატუნია: ზოგს პრესალები
 ჩაავლო, ზოგს კბილები და ერთი თვალის-დასამსამებაზე
 ამოულიტა უველა ბარტები. — მე ჰატარა სანის ამ მოულოდ-
 ნელმა შემთხვევამ გაძაშტერა და მერე დავიწეს ტირილი.
 მამამ რომ ჩემი მწუხარება გაიგო, გაიცინა და მითხრა:
 — ხომ გითხარი რომ არც მაგათ შერჩებათ უსამართლო
 საქციელი; მავრამ მე ამ სიტევებით მამამ ვერ დამამჭვიდა,
 მეცოდებოდენ საბრალო ბარტები.

კუკუნია ტატიშეილი.





დედა ფუტკრის ნაამბობი.

(დასასრული)

ჩავუბრუნდები ისევ ძეველ ამბაცს: არ გასულა
სულ ორი თვე, რაც ძეველმა დედა ბატონმა თა-
ვისი სამეფო შე დამიტოვა, ჩეენ ისე მოელონიერდით
რომ არც-კი შეეძლო ვინშეს შეემჩნია — ამას მუშა
ხელი მოჰკლებიათ. ახალგაზრდები ცეილის ყავას აშე-
ნებდენ, მე კიდევ კერძოს ვდებდი — ხნიერ უუტკ-
რებს კი მოჰკლნდათ თაფლი და ჭერა. რაი საკერპ-
ხე დაიცლებოდა ან ახალი აშენდებოდა მე მაშინვე
ეცდილობდი მომეცწრია და კერძოს ჩამედო. ჩემი
ასულები-კი ცდილობდენ თაფლით ან ჭერით აესოთ. ბოლოს მე
დამჩრია ფიჭის ქვედა ნახევარი კერძოს ჩასადებათ, ზედა ნახევარი
კი მუშებმა თაფლით ამოაესეს. მე თან და თან ნაკლები აღკილი მრჩე-
ბოდა კერძოს სადებათ. ზაფხულიც მიიწურა. მინდორში საშავრი
ნაკლებათ იყო და ფუტკრებიც ნაკლები ნალისით მიდიოდენ, მაგ-
რამ უსაქმოთ-კი არ რჩებოდენ, ახლა ოჯახში იშოვნეს საქმე — და-
ერიენ მამალ ფუტკრებს და სულ გარეთ გამოჰყარეს — მამლები
გულსაკლავათ ბზუოდენ, არ უნდოდათ მზა მზარეული ნადიმი. მი-
ეტოვებინათ, მაგრამ ამა რა ძალა შეეძლოთ, როდესაც მათ არაფერ-
ზე უშრომიათ! მუშა ფუტკრებიც გაყაპასდენ და რომელიც გაჯი-
უტდებოდა იქვე ისრით კლავდენ, მერე რომელიმე მუშა ასწევდა

მკედარს და შორს გაპქონდა. ზოგი-კი იქვე შესავალ კარებთან რჩებოდა შეჯგუფული—თითქა პატარა ნაყარიაო; შიგ შესელის ნებას არ აძლევდენ და მეტი ჯანი არ იყო იქვე შიმშილით უნდა ამოწყვეტილიყენ. მებრალებოდენ, მაკრამ ახიც-კი იყო მათზე—მუშაობა არ შეუძლიათ, ჭამით-კი ერთი ხეთის ოდენას ჭამს, საწყლებს თავის თავის დაცეა რა არის ისაც-კი არ ესერჩებათ. ტანი ახმახი მიუკია ღმერთს და ერთი პატარა შეაშინი ისარი-კი დანარებია მათთვის...

თანდათან აცილა, დღემ იყლო და ღამემ იმატა. მინდორში აღიარა იყო—რა და სამუშაო დროც ცოტა რჩებოდა. მუშები, რომლებიც მინდორში დადიოდენ, სანახეებით ცარიელი ბრუნდებოდენ.

ერთ მზან დილას ჩერენ სკას მეფუტკრე მოადგა: ახალა თავი, რაღაც შემოვეიძოლა და სულ თავბრუ დაგდასხა; მოსდგა ჩერენ სკას და, თითქო მენახეებრე იყო, შუაშე გაგვაყო ნაშრომი და შხოლოთ რეა ჩაჩინ და დაკიტოვა, დანაჩერენი თან წაილო. ეს არ იამათ მუშა ფუტკრებს, მაგრამ აბა რას გახდებოდენ—ჯერ ერთი რომ გაბრუებული იყვნენ და მერე მეფუტკრესაც პირზე პ-რბადე ჰქონდა გაკეთებული. მეფუტკრე რომ მოვიშორეთ, ახლა სხვა უბედურება დაგვატყდა თავს: თურმე მეფუტკრეს სკაში ცატა თავლი დალეროდა, ეს რომ მეზობელმაფუტკრებშა გაიგეს სკაში შემობრძანება მოინდომეს და მოიტანეს იტრიში. მეკარენი ეკეთნენ, მაგრამ ზოგი ბებერი ქურდი ფუტკარი მაინც შემოძერა სკაში და მაშინვე ჩემ მოსაკლავათ გამოექანენ; რაკი მეფეს მოუკლავთ სამეფოსაც ადეილათ აეიკლებთო. მეც გარს მუველები მეხეია, მაგრამ მაინც დიდი სისხლის ღერა იქნებოდა, ორეთე მხარე დიდათ დაცხარალდებოდით, რომ ისევ მეფუტკრეს არ გაეგო და არ მოგვშეელებოდა. მეფუტკრემ ჯერ მაგრათ დაგვიძულა—მებრძოლნი სულ გამოაბრუა—შემდევ სკის სათვალე (სალამომდე) შეაბრუნა, სათვალეს რაღაც ბალახის ფითოლი წასცხო (კიტა-ბალახა) და აღრე მტერი მოგიკედეს აღრე ქურდები კუდამო-ძუებულნი უკან გაბრუნდენ. მუშა ფუტკრებმა სკა ერთიან გასწინდეს, გაასუფთავეს, ბრძოლაში დახოცილი ფუტკრები გარეთ გამო-

ჰყარეს, ფიჭვები მიასწორ-მოასწორეს და იქაუჩობა წეს-რიგში მოიყვანეს.

დღითი დღე სიცივემ იმატა — აედრები გახშირდა. კეერცხის დებას თავი მივანებე. უუტკარი სკაში ძრიელ შემიმცირდა ასე, რომ სულ 5—6 ჩარჩის ძლიეს ეფარედით. ამ ბერა რამდენი მშრომელი უუტკარი ამოიქლიტა ჯაფისა და შრომისაგან! ზოგ იმათვანს ექვი კვირის მეტიც არ უცოცხლია. მეფუტკრემ ერთი კიდევ დაგვათვალი-ერა, ზევით და გვერდებზე თფილი ბალიშები შემოგვიწყო, თავი მაგრა დაგვტურა და გვითხრა: მშეიღობით გაზაფხულამდეო. ახლა სკაში კმის მეტს არას გაეკეთებდით. ათასში ერთხელ თუ ძრიელ კარგი შზიანი დარი იყო ზოგი გარეთ გამოფრინდებოდა, მაგრამ ისევ აღრე ბრუნდებოდა. მოვიდა პირველი თოვლიც. ყინვამ იმატა, უუტკ-რები სულ ჯაფუათ ისხდენ და ერთმანეთს ათბობდენ — ყველაზე მეტი მე მეხედა გარშემო, დედა ბატონს არ შეცივდესო. ეს დრო ნამდევილი ჩევნი დასევნების დრო იყო; ჩევნც ტკბილათ ხან დაეიძინებდით, ხან გაეიღოდებდით და თაფლს გიაბლებოდით. ასე მყუდროთ გაეატარეთ ზამთარი. თოვლი აღნა, ბუნება გათბა და ჩევნც გავიღ-ებით. მეფუტკრემ საფრენი გაალო, სკა დასუჟთავა, ბალიშები აგვა-კალა, ცოტა თაფლი მოგვრჩენოდა და ისიც წაგვართვა, სამაგიეროთ სხვა თაფლი მოგვცა; ეს ჩევნ არც-კი გვწევნია, რადგანაც ჩევნი თაფ-ლი სიცივის მიზეზით მქავე იყო და ზოგს უუტკარს ფალარათობა დაემართა. ახალ თაფლს ჩევნ ლონიერათ მიედეხით და რაც გადარ-ჩა მუშებმა ფიჭებში გადმოიტანეს.

მუშა უუტკრები შეუდგენ ისევ შრომას. საკეერცხეები ამო-ასუფთავეს და მეც შეცუდევ კეერცხის დებას. სითბომ იმატა, მინ-დორში ცვაეიღოდები გაიშალა და მუშებიც იქით გაეშურენ; მოპქონ-დათ ბლომათ თაფლი და ჭერ. ახალ ნადები კეერცხებიდან ახალ-გაზრდა მუშა უუტკრები ვამოძერენ — ესენიც საზოგადო ფერხულში ჩაებნენ, სკა ისევ მოლონიერდა. მეფუტკრემ ჩარჩო მოგვიატა — ახალგაზრდებმა ზედ ფიჭები ჩამოაშენეს და მე არც-კი გამიგია ისე



შეიკოსებინათ ზედ კიდურზე სადედო. შიგ-კი ჩასაკეირველია ახალი
დედა გამოჰარდეს. ეს რომ დაეინახე მოვინდომე ჩემი მეტოქე
ისრით მომეკლა—მეც მაქეს ისარი, მაგრამ მარტო ჩემს ბადალ-
თან ბრძოლაში ეხმარობ ხოლმე. გაემშურე გააუთრებული, მაგ-
რამ წინ გადამელობენ და ამისი ნება არ მომცეს. გრა შეგვეძლო
ორ მეფეს ერთ სამეფოში ყოფნა? არა და არა და რაკი მეტი გრძა-
არ იყო მეორე დღეს მეც დაუტოვე იქაურობა, გაეყავი ჯარი და
ჩემი ამქრით გარეთ გამოვედი. ახალი გარენილი მამლები მას დაუ-
ტოვე. გამოსელის წინ ყველა ფუტკარი თავიანთ ნაშრომ თაფლს
უკანასკნელათ მიაძლა, ასე რომ სამ დღესაც აღარა უშავდათ-რა
უჭმელათ. გამოვედით თუ არა დაერწყეთ ჰერქში ნაერდი—
ცოტა ხანს შემდეგ იქე ატმის შტოზე გიდელიერ ჩამოვეკონწია-
ლეთ ყველა ერთათ შეჯვალული. მოერდა მეფუტკე, წყლით გვაპ-
კურა და ყველა ერთ ახალ ცარიელ სკაში-კი ჩაგვყარა. ამ სკაში
ჩენ დაგეხედა ცარიელი ჩარჩოები, რომლებზედაც ფიქების ნაცერი
იყო მიწებებული, ხანიმუშოთ ერთი ჩარჩოც კალევ საესე იყო თაფლ-
კერც-ჭიებით. ჩარჩოს დანახეა ძალიან გვიამა, მე მაზინვე ვიცან,
რომ ის ჩემი ძეველ სამეფოდან იყო გაღმოტანილი.

ასე და ამ რიგათ ჩეენ ეს სკაც გავასხეთ და, როგორც წინათ მოგახსენეთ, ისევ იმ ერთგვარ განუწყვეტლელ შრომაში ეკუავით. მეც მომზადა ამ გამუღმებულმა შრომამ, ერთი კიდევ გამოვყენ ახალ ნაყარს, გული ისევ საშრომლათ მიძეგერდა, მაგრამ ღონე აღარ მო-მჟევდა. იმდენ კვერცხს ველარ ვდებდი, როგორც წინა ორ წელი-წადს, ამიტომ ნაყარი ადრე ვერ მოღონიერდა, ეს მეფუტკრესაც არ გამოეპარა შეუნიშნავი. „ეჭ! აქ ბებრულუნა დედა ყოფილა, უყურე რა ცოტა კვერცხი დაუდევა და ისიც ხომ რაგზე არა, აქა-იქ გა-ფარტულათო, მეტი გზა არ არის უნდა გამოეცალოთო“, უთხრა თა-ვის ამხანაგს. რაღა ბექრი გავაგრძელო თრი დღის შექმედე მოვიდა მეფუტკრე, მოიტნა პატია გალია, დამიტირა და პატიმარ მყო. გუ-ლი შიშით მიკანკალებდა, ვა თუ არ დამიტასონ შრომა და შიშ-

შილიით მომკლან-მეთქი. ამ მწარე ფიქრში რომ ეიყავი მეფუტკრები უთხრა თანაშემწეოს: მოდი და ეს ბებრუცუნა „დასაკეირებელი“ სკა-ში მოვათავესოთო, მართალია ძრიელ ცოტა კცერცხს დებს, მაგრამ ერთ ჩარჩოს მაინც გასწევდებაო, შემოდგომამდე ხომ მიაღწევს და მაშინ მაინც მოსაშლელი იქნება დასაკეირებელი სკა, რადგან ერთ ჩარჩოს ცალკე ზამთრის ატანა არ შეუძლიანო. გულზე ცოტათი მეფონა, მართალია ახლა ჩემი სამეფოს მეთორმეტე ნაწილს უნდა დაეყაბულებოდი და ისიც სამი ოთხი-თვით, მაგრამ ესეც კარგი აყო განწირულისთვის.

ჩამსკეც ერთ პატია სკაში, რომელსაც ერქვა „დადანი“.*) ეს სკა მომაღლოთ ლამაზათ სამ-ფეხა ბოძზე იყო მიმაგრებული, შიგ მარტო ერთი ჩარჩო თავსდებოდა. ორი მხრით მინები ჰქონდა ჩამული ხის დარაბებით, როცა დარაბას გააღებდენ სკაში ყოველი-ვე ხელის გულივით ჩნდა. ფუტკარი შიგ იმდენი იყო რომ ჩარჩოს ორივე მხრით ჰყარავდა, იყო აგრეთვე ათიოდე მამალიც. ეს ფუტკრები ერთი დღე და ღამე უდელოთ იყენებოდა (ძველ სკას მოშორებული) და რაკი მე ძველი ნაყოფიერი დედა დამინახეს სიამოვნებით მიმიღეს ახალ დაობლებულებმა, სულ ალერსი და ულვაშის ქიცინი დამიწეს, მაშინევ თაფლი მომართებს. ასე ალერსით არ ექცევიან უდელო ფუტკრები ქალიშვილ დედას, შეიძლება კიდეც მოჰკლან და არ მიიღონ. ჩეენც შეეცდევით ჩეენ პატია ძალ-ლონის შესაფერ შრომას, ძრიელ მაკეირებდა ეს პატია სკა, რათ უნდა ჩეენ პატ-რონს, ამა ჩეენ რა სარგებლობა უნდა მიეცეთ-მეთქი, ვფაქტრობდი. ესეც მალე გაეიგე.

ერთ მზიან დღეს ჩეენ საფუტკრეს ეწევა ბარიდან (ჩეენ მთაში ეიყავით ტყიან ადგილს) სოფლის მასწავლებელი თა-

*) დადანი იყო მეფუტკრეთა მამათ მთავარი, მისი უაიდის სკა დღეს საუკუთხესოთ არის ცნობილი.




ეისი მოწაფეებით. მეფუტკრემ ჯერ ისინი ჩენონთან მოიყანა, ვა-
ლო არიყე დარაბები და მოწაფეებს სულ ყველაფერი უჩვენა. ეს
პატარები ყველაზე მეტი რომ არის რიცხვით ესენი მუშა ფუტკრებით.
ეს შეი მუქი ფერის, ტლანქი - მამლებიაო, ხოლო აი ეს, რომ გზა-
ნეს მწიუე წაბლის ფერი, ბოლო-მწერიანი, ფრთებ-მოკლე - კუდ-
გრძელი ეს-კი დედა გახლავთ. ის ახლა კვერცხს დებსო, აი და-
უკეირდით როგორ საკვერცხს ფეხებით მოვჭიდა, ბოლო შიგ ჩაჰყო,
აი ახლა საკვერცხის ფსკერზე პაწია თეთრი კვერცხი ჩასდოო. ნუ
გეშინიათ ახლო მოდით, მართალია ფუტკრები შნამიანი ისრით არიან
შეიარაღებული, მაკრამ ამ მინას ხოუ ეერ გამოამტკრევენო. მე-
ფუტკრემ მოწაფეებს ჩენი ი ცხოვრება სულ დაწერილებით აუქსნა.
ბაეშები გათამამდენ და ფანჯარიდან ხელს ადგებდენ, აი ეს არის დე-
დაო. მეკ საკვერცხიდან საკვერცხზე გადაედიოდი, კვერცხს ედებდი,
თაე მომწონდა რომ ყურადღებას მაქცევდენ. ერთმა მოწაფემ უთხ-
რა მასწავლებელს: რა კარგი იქნება, რომ ამისთანა სკა ჩენც გვქონ-
დესო.


— აპი, ჰაი! ჩომ კარგი იქნებაო, გრძანა მასწავლებელმა.— თუ აგრე მოგწონთ ფეშქეშიო, უთხრა მეფუტკრემ. მასწავლებელ-მოსწავლებმა დიდი მაღლობა გადაუხდეს. პატარებს სიხარულით ერთი ქრისტული გაცქონდათ, უნდოდათ მაშინევ წაელოთ, მაგრამ მეფუტკრემ უთხრა ახლა წალება არ იყარებს, რადგან თითქმის მესამედზე მეტი მუშა უუტკარი გარეთ არას საშოგარზე და ის დაიკარგება — რავია აქ თავისი სკა არ დახვდებაო. ისევ ისა სჯობს ხვალ დილით ად. რე, სანამ უუტკარი საშოგარზე წავიდოდეს, სათვალეს დაუკეტ და მე თეოთო მოგაროთმეთო. მასწავლებელ-მოწაფენი კრაიო-ფილნი დაბრუნდენ სკოლაში. ჩენც მეორე დღეს მართლა მეფუტკრემ სკოლის ბალში ამოგვაყოფინა თავი. მასწავლებელი ბერ რამეს ელაპარაკა მოწაფებს ჩენ ცხოვრებაზე და სხვათა შორის აუხსნა, ჩომ თაფლი ძლიერ ადეილი მოსანელებელია და მის მჭამელს მატებს ჯანს, ღონეს, აშორებს სიხარმაცეს და აყვარებს შრო-

მასო. ვინც ფუტკარს უელის ეს დამტკიცებულია, რომ ის არის ყოველთვის ბეჯითი, მშეიდობის და შრომის მოყვარე და რადგან ძრიელ ხშირათ ისინი წმინდა თაფლს ჭამენ ამისთვის უფრო დიდ-ხანსაც ცოცხლობენ. მე ვისურებ, რომ თქეენ უელის შეგვეწავ-ლოთ ფუტკარის ხელი და თქეენ ბალში ხუთიადე სკა დაგვდგათ. ამისი მოვლა ბევრ დროს არ წაგარმვესთ და სასარგებლოც არის, სავოზინაყე თაფლს მაინც ბაზარში არ იყიდით, რომელშიაც ათას გვარ რაღაცაებს უჩევენ. ასეა და ამ რიგათ ჩევენ დღეს, როგორც ხედავთ, სკოლის ბალში ვართ.

აპოლონ წერაძე.



ԿՅԱՅՈԼԵՑՈՒ ՅՅՈՒՀՅՈՒՆ.



(ତାର୍କାମାନି)

ატარა სოფრონის ერთ საათს არ
შეეძლო გაკვეთილი ესწავლა, მა-
გიურათ მოელ დღეს ობ მინდორ-
ში ერბინა არ მოხვეინდებოდა. გა-
საფხულზე ხშირათ სკოლაშიც არ
დადიოდა და მის მაგიერ მინდორ-
ში დარბოდა, სან მოელი საათობით იდგა სოლმე ჭაობის
ჰირათ და სიხარულით შეცეროდა გუდ-ცანცარა წეალ-
წეალას. სან აცოცდებოდა კლდეებზე და იქიდან სტკბებო-
და თავის-უფალო ჭაერის სუნთქვით. დიდ სიხარულათ მაჩნ-
და სოფრონის, როდესაც მეთევზები ზღვაში ნავით გაასეირ-
ნებდენ. რა სიამოვნებით მიმალავდა სოლმე წიგნებს და რა
მოხერხებით მოატევულდა მამას, სკოლაში მიყდივარ, ან დღეს
სწავლა არა გვიონდა, დაგვითხოვეს!

მაგრამ უკეთა ეს ხომ არ დაიშვებოდა! როდესაც
ხოფრონი სადამოზე სახლში დაბრუნდებოდა ისეთი ალია-

ქოთი ელოდა მამისაგან, რომ თავსა და ბერს იწყევლიდა სოლმე. ბოლოს და ბოლოს მამასაც მოსწეინდა სოფრონის დარიგება, იმედი დაკარგა მისი გამოკეთებისა და სულ ადარაფერს ეუბნებოდა, მაგრამ ისეთი თვალით-კი გადახედავდა სოლმე, რომ საწეალ ბავშვს სულ თავისა ეპარგებოდა; თავ-ჩაღუნელი, წელში მოხრილი ჩუქათ მიიპარებოდა თავის ლოგინთან რომ მამსა არ დაეწახა და ერთ წამის ისე გაფხვეოდა საბანში თითქო გულის ძილშიაო. ეთველოთვის როდესაც მამის დაქმინებოდა, მავიდოდა სოფრონთან დედა მისი, ჩუქათ რამე საუნმეს მოუტანდა და თან გადაჭრუნიდა თავის ცუდლუტ შვილს. სოფრონიც გულმსურვალეთ ჩაეჭროდა დედას გულში და გულწრეულ აღოქმას დაუდებდა: ამსა იქთ აზარ ვიცელქებ და კარგათ ვისწავლიო. მაგრამ, როგორც-კი დილის მხის სხივები შეანათებდენ თვალებში წამოსტებოდა, გავარდებოდა გარეთ, დაინახავდა მინდოოს, ზღვას, ჭაობის ჰირათ თავის საუკარელ წეალ-წეალა ჩიტს და სულ ეპელაფერი ავიწედებოდა, მამის ჯავორბაც, დედისთან მიცემული სიტემაც. ერთის სიტემით, ჩვენ ცუდლუტ სოფრონს ეპილა და ეპელაფერი უკარდა გარდა წავლისა.

ერთ დღეს სოფრონი დიდი შეიარული მორბოდა სასილ-ში. რადგან უკანასკნელი დღე იურ საწლია. სვალ სა-ზაფხულოთ დაითხოვენ და ეს სომ სოფრონის სანატრელი



დღეები იუთ! სიხარულით შევარდა სახლში, მაგრამ იქ საძინელი სურათი წარმოედგა: მამა მისი გაუკითლებული იწვდომენში და დედა თვალ-ცრემლიანი მის წინ დახოქილიერი. სოფრონის ფეხის სქი იცნო მომაყვდავმა მამამ და დასუსტებული სელით ანიშნა, ჩემთან მოდიო. სოფრონი გაცემული მივიდა მამასთან, განა ის წარმოიდგენდა ოთხ, ორდისშე, მამა ას დედა მოუკადებოდა!

— ჩემო- შვილო? უთხრა მამამ და თავისი მუშაობისა
გან გაძეშვებული სელი დაადღ შვილის სუპერ-თმიან თავზე —
მე კვერცხი და ეს ისეთი წუთია ჩემთვის, რომ გაჯავრებაც
აღარ შეძილდათ. შენ დღეს კიდევ არ წასულხარ სკოლაში,
კიკითხეთ იქ და არ მოსულოთ ეთქვათ. მინდოდა როდესაც
მღვდელის მასიარა აქ უოფილიერი. კინაღამ შენს უნახავათ
მოვაკიდო.

ავთმეოდი გაჩუქდა. სისუსტით კულბრ ლაპხრაკობდა.
სოფრონი გულბმოსკვნილი ტიროდა: იმან წარმოიდგინა,
რომ მამას წაიღებენ სასაფლაოზე, იქ ჩადებენ მიწაში, იქი-
დან ხომ კედარ ძმოვა! სწორეთ ეს არის სიკვდილით, გა-
იყიქრა საწეალობა ბაჟმა და გული შეეჭუთა, თოთქოს რა-
ღაც სამინელი რამ უნდა მომხდარიელ და როგორც-კი უნდა
დაეღრიალია ას კარის ავთმეოდას კიდევ დაიღიანობა:

— შეიღოთ სოფროს, ახლა დედაშენი და შენ მარტო
დარჩებით. ოცუა მე ვმუშაობდი და რასმე ვიღებდი, — მაში-
ნაც მაღადნ დარიბათ გუპთურობდით და უწემოთ ხომ უკ-

რო სიღბარიბე მოგელით. გამიგონე. შვილო, თუ გინდა მოშენებით მოგევდე პირობა მომეცი, ამას შეძეგ ისე მოქუცი, რომ საცოდავ დედაშენს შენი ცუდლუტობით სიცოცხლე არ ექნეს გამწარებული.

— გეფიცები მამახემო, რომ წმინდათ აკასრულებ შენ თხოვნას! უპასუხა ტირილით ხოფრონმა და დაეკონა მომავა-დავ მამას გულზე.

მამა მოკვდა და მისი დამხრევა მეტათ გაუჭირდებოდათ საცოდავ დარიბ დედა-ჰქილას, რომ იმათი მღვდელი მეტათ კუთილი გულისა არ უოვილიუო. ის უოველთვის ეხმარებოდა დარიბ მუმა ხალხს. და ახლაც აუგო ანდერძი სოფ-რონის მამას, გაჭევა სასაფლაომდის და თუ რამე ხარჯი მოუნდა სანთლებზე და მუშებზე თითონ იყისრა.

კუბოს უან ახლო მიდიოდენ სოფრონი და დედა მი-სი, შეძეგ მეზობლობა. საწყალი სოფრონი ახლა აღარ ტიროდა, იმისი მსიარელი ცელქი სახე რაღაც დაფიქრებით, მედიდურათ გამოიურებოდა. წაიკითხა მღვდელმა უპასასნელი დოუკა, ჩაუშეს კუბო საყლავში, დააუბრეს თი-თო მუქა მიწა და ხალხი წავიდ-წამოვიდა. პავლეთან დარჩენ დედა-ჰქილი და ერთი მუმა, რომელსაც საფლავის თავზე მიწა უნდა გაქცენორებინა. ბოლოს მუმაც წავიდა, და ჩამოვაზრდა სიჩუმე.

— საცოდავო, ერთი უბავილების გვირგვინიც-კი ვერ

შევიძელით შენ პატივსაცემლათ — წაილაპარაკა საცოდვაშა
 დედამ, გულამომჯდარი ქვითინით მოჰკიდა ხელი შეილს და
 გამობრუნდა. სოფრონის გულზე მწარეთ მოსვდა დედის სი-
 ტეკიბი, მაგრამ არა თქვა-რა.

სკოლის მასწავლებლები გაოცემული იუვენ სოფრონის
 საქციელით, რომელიც სამაგალითოთ მეცნადინეობდა მამის
 სიკვდილის შემდეგ. კერთვის წარმოედგინა, რომ ისეთი სარ-
 მაცი და ცუდლუტი ბავში სამუდამოთ გამოიყენდებოდა. —
 ალბათ მამის სიკვდილით დაღონებულია და ჯერ კერთველ-
 ზე ერთობაო, ამბობდენ მასწავლებლები — უმცველია, რო-
 გორც-კი გაზაფხულდება თავისებურათ მოჰკვება ცუდლუტო-
 ბასო. მაგრამ ეს ასე არ მოხდა, სოფრონი თავ-აუდებლივ
 სწავლობდა და მაღვე სკოლაში პირველ მოსწავლეთ გამო-
 აცხადეს.

ის დღეს, რა დღესაც სკოლაში კარგ მოსწავლეთათვის,
 საჩუქრები უნდა დაერთიებინათ ს. აფრონი ჩააცილდა დედის,
 შენც წამოდი სკოლაშიო, მაგრამ დედა ციკ უარის ეუბნებო-
 და, რა მავის გული მაქსი და ან ამ შავი ტანისამოსით
 სად წამესვლებათ.

— ან რისთვის უნდა წამოვიდე, შეილო, დაუმატა თვალ-
 ცრემლიანმა დედამ — შენ სომ საჩუქარის კერ მიიღებ და
 სხვისა რა მენაღვლება. სამი წლის ცუდლუტობით რაც
 დაჰკარგე, იმას რვა თევეში კერ დაიბრუნებო, ჩემთ კარგო.

მაგრამ სოფრონი ისე ჩაცივდა დედას, რომ იმანაც უარი ვეღარ უთხრა და წავიდა.

დიდბალი ხალხი შეკრებილი იყო სკოლაში. სოფრონის დედა კუთხეში მიკრუნჩხული ჩუქათ იცრებდებოდა. უცტ რადაც მოულოდნელი ხმა შემოესმა.

— სოფრონ კასტილოვი! გაისძი მასწავლებლის ხმა და თავ-ჩაღუნული სოფრონი გამოიუვანეს შეა დარბაზში, რომელსაც უფროსმა მასწავლებელმა დაადგა თავზე სამაგალითო სწავლის ჯილდო «დაფნის ცვირგვინი» და აღტაცებით წარმოთქვა:

— მიიღე ეს სამაგალითო სწავლისა და უოფაქცევისათვის, ჩემო შეიღო.

სოფრონის დედას სისმარტი ჰკონია თავისი თავი. მისი მვილის სახელი გაისმის სკოლის უოველ კუთხეში. აგერ სოფრონიც მორბის რომ პირველათ დედამ მიულოცოს ბედნიერება. ის კარგათ ხედავს რომ დედა მისს გულში უდვივის იმედის ნააერწყალი. გულმწურვალეთ იკრავს დედა გულში საუვარელ შეიღოს და აფრქვევს ცხარე ცრემლებს, მაგრამ ეს ცრემლები სისარულისაა.

დათავდა სასწავლებლის დღესასწაული, სალხი გამოვიდ სკოლის დარბაზიდან. სოფრონის დედა ამავათ გაემართა სახლისაკენ.

— არა დედილო, სახლში-კი არა, აქეთ და სოფრონი წევა დედას სულ სხვა მხარეს, დედაც ანგარიშ მიუცემლათ

მისდევს. ის ისე ბეღნიერია რომ კურც-კი გრძნობს, თუ სად მიჰეავს შეიღს და მსოლოთ მასის მოყიდა გონს, როდესაც თავის საცოდავი ქმრის საფლავს მიადგა.

სოფორობს გაუშვა ღერას სელი, საჩაროთ მივიდა მამის საფლავის სის ჯგართან, ჩამოჭერდა დღევანდელი თავისი ჯილდო «დაუნის გვირვევინი» და ალერსით უთხრა ღერას:

— ნუდარ სუსარ, ღერაჩქმო, აი, ახლა სომ აქვს მამჩემს საპატიო გვირვევინი.

ს. ციციშვილი.



დიტოს ძველი ქუდი ვინ მოიხმარა.



როსელ დედამ დიტოს ჭითხა, სად
წაიდე შენი ქუდიო? ქუდი, მართალია,
მეეღი იუო, მაგრამ კიდევ ვარგოდ
სახმარებლათ. ახლა ახალი უნდა და-
იხურო და იძასაც მალე გააფუჭებო.
დიტომ ქუდის მებნა დაუშეო: დაათვა-
ლიერა თაროები, შეიხედ ტახტი ჰეტ,
მაგრამ ქუდი ვერსად იპოვა. ამ
დროს მოჯამაგირე—ივანემ გაახსენა
დიტოს, რომ გუმინ უქმდოთ და-
ბრუნდი ტეიდან და უთუოთ იქ დაგრძებოდო.

მეტი გზა არ იუო: დედამ ახალი ქუდი უუდა დიტოს,
რომელსაც მეეღი ქუდის სსენება სრულიად დაავიწედა.

გავიდა თრი კვირა. შრომანა-უვაკილები გაიმაღა. დი-
ტოს ეს უვაკილები. ძლიერ უყვარდა და მათ დასაკრებათ
ტეისაც გაემურა.

ტექში სიარულის დროს სშირთ შეჩერდებოდა ხოლმე
და სიამოვნებით შესტკეროდა ლამაზ ჩიტებს, რომელნიც
სუბზე დაფრინავდენ. უმცრათ არების სის ტოტზე დაინახა

რბდაც საკვირველება. დიტომ სისარულით დაიძხა: «ეე! ეს
სომ ჩემი ქვდიაო!» ხელი რომ გაუწოდა ჩამოსალებათ, იქი-
დან მისაკის-ვერი ჩიტი ამოფრინდა.

განცვიფრებული დიტო აცოცდა ხეზე და ნახა, რომ
მის ქუდში პატარა ჩიტის ჩინებული ბუდე გაეცემოდა. ქუდ-
ში ოთხი თეთრი პატია კვერცხი იდგა. დიტომ ქუდი იქვე
დატოვა, გაიქვა სახლში, დედას უამბო და თხოვა, რომ
ტექში წაჲეოლოდა და გაეგო, რა ფრინველი დაბუდებუ-
ლიეთ მის ქუდში. მივიღენ და ნახეს, რომ ქუდი ბუდე
ნიბლიას გაეცემოდა. კვერცხები მაღე გამოჩინა. დედლ-
მამხლი ბარტექის ჩვეულებრივ საჭმელას უსიდავდენ. დიტო
დიდი სისარულით მიდიოდა ამათ საფურებლობთ. როცა ბა-
რტექი წამოიზარდენ და ბუდე მაატოვეს, დიტომ ქუდი
ბუდიანათ ჩამოიდო და შეინახა საგაისოთ.

კახ-იმერელი.



სპილო და კეფხვი.


ერთი მოგზაურის ნააშშობი

(რუსულიღან)



ერთხელ მე და ერთი ხეძი მეცნიერი
სამხრეთის ზღვით ვმოგზაურობდით.
სადამო ქამი იურ. გემის ბანზე ვისხე-
დით და ჩაის ვსვამდით. უცხო გემზე გა-
ისმა რამდენიმე ხმა:

— ვეშაპი!!!.. ვეშაპი!!!.. და ამავე დროს
ისეთი საზისძრი ზუნი ვიგრძენით, რომ ვედარც ჩაის მი-
ვეგარეთ და ვედარც თუთუნს. მე წამოესტი და გავეჭურე
იქითენ სადანაც ხალხი ვეშაპი უცხეროდა და მართლაც
დავინახე რაღაც შავი მთა, რომელიც პირ-დაღებული გემის
ჰახლობლათ მოცურნავდა: ისეთი დიდით დაქორ პირი, რომ
შეგ რამდენიმე ადამიანი თავისუფლათ მოთავსდებოდა; აი
სწორეთ ამ დაღებული პირიდან ამოდიოდა ის საშინელი
სიმურალე, რომელმაც მყელას გულის რევა აგვიტესა.



— ეს თვისება ბევრ სხვა მხეცებსაცა აქვთ, მთხოვა ჩემს მეგობარმა, რადგან შემატეთ რომ გაოცებული კუცქმ-როდი საძინელ კეძენს — ლომის სუნთქვისაგან კაცს შეიძლება გული შეუწევდეს და გეფხვეს, არამაც თუ პირიდან ამოსდის მერალი სუნი, მთელი ტანი ისე უკარს, რომ შეუძლებელია კაცი ახლოს მიეყროს. მე, ჩემთ მეგობარო, ერთხელ მაგ სიმურალის წეალობით სიკვდილს გადავრჩი.

— თუ მაგ ხარ, მომიუევ მაგ ამბავს, დაწვრილებით, კუთხარი ჩემს ამხანავს და იმხანავ მიამბო შეძღვვი:

— ერთხელ ინდოეთში ვმოგ ზაურობდი და ბერებსთან ახლო, ერთ პატარა სოფელში მომიხდი დამის გათევა. იმ სოფელის შესანიშნავება მდებაროსამ, მცენამ დიდმა ტამარამა და მრავალმა გამოცვაბულებმა მიიღერეს ჩემი კურადღება და გადავწევიტე ერთ-ერთ გამოცვაბულები გასეთია დამე. ჩემი

გზის მაჩვენებლები-კი დავაბინავე შეა სოფელში. მოვწევე ერთ პატრია გამოქვაბულისი, რომელსაც ერთი პატრია ფანჯრიანი ქარები ჰქონდა. მითხრეს მაგ გამოქვაბულის ქარები იმისთანა სისაკან არის გაეთებული, რომელსაც გეშე-გები ძხლის არ კვარებიანო, მაგრამ ბოლოს გამოხნდა რომ ძემუდრები იუგნუნ ვინც ამაში მარწმუნებდენ. ეთველ შემთხვევაში ის ადგილს ღამის გათევა საძირათ არ ითვლებოდა, რადგან, როგორც დამარწმუნეს, იქ იშვიათათ სედავდენ ახლო-მახლო კეფხურების და მეც გულდამჭიდებულს ისე და-მებინა, რომ სამ თუ თოს საათს ფეხი არ გამინმოვია.

როდესაც გაბრწინებულმა მთვარემ თვალები შემომა-შეს გამომეღვიძია და მშენიერი სურათი წარმომიდგა თვალ წინ: გაბადრული მთვარე საამურათ ანათებდა არე-მარეს და იდუმალი ჩუხჩუხი მდინარისა სასიამოვნო ჭარმონიათ მო-მებინდა. კერ მოვითინე, რომ უფრო თავისუფლათ არ დავტებარიუა ბუნების სიმშენიერით და გარეთ გამოვედი. გავიარ-გამოვიარე ორჯელ-სამჯელ და ჩემს საღვიმოთან ახ-ლოს ერთ კიბის ნანგრევზე ჩამოვჯეს. უცებ რაღაც დიდს არსებამ მიიპურო ჩემი უშრადებია და რადგან ღამები კერას კარჩევდი მოვინდომე რომ ახლოს მივსულიერ და გამეორ თუ რა გამომეცხად ისე უცებ თვალი-წინ. თოვი იქვე დავ-ტოვე, სადაც კიჯებ და წავდგი წინ რამდენიმე ნაბიჯი თუ არა — საშინელი საზისდარი სუნი კივრენ; მე იმ წაშევ მივწე-დი, რომ ეს სუნი ელოგანი არსება კეფხური უნდა ერთყიდიულ;



სწორად გადაუჩრი ჩემ ბინასთან, შევარდო გამოქვაბულში
და მოჰქმები კარები. იმავე წამს უშეელებელი შეცი ეცა
ჩემი სადგომის კარს და დაუწევო ბრძენი. მოვარის სინათ-
ლეზე კარის პატარა ფანჯრიდან გარეველით დავინახე თრი



საშიშარი ევთელი თვალი და სა-
მაგლათ გადრენილი პირი, რომე-
ლიც უსაგათ ჭყენდა მთელ პრე-მა-
რეზე სახისდარ სიძერალეს.

ამ საშიშარ შეცია და ჩემ შეა მსოლოთ თხელი, და-
ქალებური კარები იყო აუზრებული; არაფერი იარაღი არ
იყო ჩემ ბეჭობაზე; თოვლიც-კი გარეთ დაძრნა, დანარჩენი
იარაღიც ჩემ შელებლებს ჰქონდათ ბარგა ან. საშიშარი
ბრტყელები ვეფხვისა თან-და-თან ასუსტებდა ჩემი სადგომის
კარებს, მე თითქმის ვერმნობდი რომ ვეფხვის ბრტყა-
ლებს შეა ვიტავი. ერთ წამს დავემორჩილე კიდეც ჩემ ბერს,
მაგრამ უკებ შიძი ისე გამიძლიერდა და მთლათ გული ისე შე-
მეცუთა, რომ თუმცა არსაიდნ შეელის არ მოჰქმოდი, მაგრამ
ერთი ისე საშინლათ შევვირე რომ თავი გამიძრულდა და კო-
ნება დავარგებ; ვეფხვი-კი ჩრდილებ კარებს და ბოლოს ფიც-
რების ლაწილუწიც შომქსმა. მოძრავნა ვითომ მსეცმა
კლანტები მომხვიდ და შეაზე გადალეჭას მახირებდა, ასიტომ
ხელმეორეთ უფრო ძლიერათ დავიღრიალე. თითქოს ჩემი
უვირილის საპარენტო რადც უცნაური ხმა მოძესმა. შევ-

ნიმუშ რომ მავი დიდი მთა მოვროჩავს ჩემსაც, მის ახლო-
მახლო სეებს ლაწაღუში გააქვს. ბოლოს ვიცხნი: ეს იყო
სპილოთ, წინამძღვრლი თავისი თანამომეუბისა, სპილოუბი
სომ თითონ ირჩევენ წინამძღვრლათ უფრო ძლიერს და გა-
მოცდილ სპილოს, რომელიც არის მათი გზის მაჩვენებე-
ლი და ჭერის მასწავლებელი.

სპილოს დანახვაზე კეთის თითქო შერცხვა, თავი და-
სხება ჩემთან ბრძოლის და შეჩერდა.

სპილომაც გადმოხედა კეთის თავისი ჩატარა დაფიქტუ-





ლი თვალებით და გამოსწია მისკენ. გაბრძებული გეფხვი
სპილოსკენ გაქნდა, მაგრამ სპილომ მაგრათ მოხ-
ვიდ მას ძლიერი ხორთუმი და ოფორც ბურთი ისე
გადისროლა გაზე. შეძღვ თოჯელ-სამჯელ ისე მაგრათ
მიუთავაზა გვერდებში თავისი ხორთუმი, რომ გონება და-
ქარგული მსეუთ ძლიერი გმირი კუდ-ამომუებული დაქვე
სტები და ერთ წამს თვალიდან მოგემორა.

შიძით გონება გაბიული, გამტერებული შევცდეროდი
ხემ ფარველის. ეს უნარმაზარი მხეცი, განკებისაგან ჩემ
გადასარჩენთ მოვლენიდი, უოგელ ქაც ზე უფრო ჰქვიანთ,
უფრო გულებთილათ მეჩვენებოდა. გამოვარდი გარეთ, ჩაუ-
კარდი ფეხებში, მოვხვიე მის დონიერ სორთუშს ხელები,
დაგუწეულ კოცნა და ათასნაირი სიტყვებით ვცდილობდი მად-
ლობა გამომეცხადებინა ჩემი შესწელისათვის. იმან ჯერ
დიდ სულოვენთ მომისმინა მადლობა, მერე შემომსვიდ სორ-
თუმი, ფრთხილათ შემიდო ზურგზე და მიმიცნა სწორეთ
შეა სოფელში; ოქაც ისევ ფრთხილათ გადმომსვა მისი,
ერთი ამსათ გადმომსედა, მიტრიალედა და გრძეგა გზას.

ၬ. ပြပါန်းခွေး

ლეილ ჭერი

(ჭერის მოთხოვბა)

X

დეილ მოდის ფიქრმიზი.



კეშუ! — უთხრა ერთხელ დეილ გო-
დიმ თავის ქმარს, როცა ის, დღის მუ-
შაობით დალალული, დასაწოლათ ემ-
ზადებოდა. — აბა თუ მიხედვი, რაზე
უფიქრობდი დღეს მთელ საღამოს?

— ძნელი მისახვედრი! — გაიღიმა
კეშუმ. — მით უფრო, რომ მე არც-კი
მეგონა, თუ შენ როდისმე უბრალო
ფიქრებზე ჰყარგავდი დროს.

— მართალია, ზაგრამ ეს ფიქრი ერაფრით ვერ მოვიშორე. სა-
შინლათ უაინტერესებს ქოზენის პატარა შეილობილის საქმე. მისი
მდგომარება რაღაც საეჭვოა... ქოზენის ოჯახს რომ არ ეკუთნის —
ეს ცხადია. ძალიან კარგი იჯახის შეილი, კაი გვარის უნდა იყოს!

— იქნება ბერებროვნის ოჯახიდანა! — დაცინეთ შენიშვნა პე-
შუმ. — ქოზენი ისე ამაყობს ხოლმე თავისი წინაპრებით... მამა მისი
თურმე თავისა პატიოსნებით ვანთქმული ვაჭარი იყო!



— ძალიან შესაძლებელია! მაგრამ ბაჟში-კი მათ ოჯახს არ
ეკუთვნის. შეადარე სხვა მის ტოლებს, თუ გინდ ჩეენ შეიღებასა!
გვი რომ უბრალო ბატებში გაერჩევა — სწორეთ იმას ჰქანა!

— ხან-და ხან მოხდება ხოლმე, რომ ერთნაირი გვარის ბავშვებიც ძალიან გაიჩინან შეხელულებით!

— სისულელის ლაპარაკობ და სხვა აზაფერი! — გაცხარდა დე-
და მოდი. — ცხადია, რომ ყელა ამაში ჩალაც საიდუმლოება იფარე-
ბა. ჩასაც ქოშენი ჰევება ბავშის შესახებ — სულ სიცრუეა და სხვა
აზაფერი. ამ დღეებში შეერთე მასთან, მარისთვის ლენტის საყიდ-
ლათ; ვკათხე, ვინ არის ეს პატარა ბავშით-თქო? — ჩერნი ნათესავია! —
მიპასუხა და მაშინევ შეცვალა ლაპარაკის საგანი. დღეს, პეპსი რომ
აცმევდა ლეიი ჯენს, ჩემი თვალით ენახე, რომ მის პერანგზე ორი
ასოა მოქარგული, ჯ. და ჩ. დაიმახსოვრე, ჯ. და ჩ. იქით კერაში
კი ჩალაცაზე ვიყავი ქოშენის შალაზიში; ეხედავ — ჩალაც მელაქულე-
ბა, გარს მიტრიალებს... ბრალოს მკითხა, როდის ათხოვებთ მარისო,
და, როცა ვაიღო — ვამომიტადა, სწორეთ საიმისო საცვალი მაქესა
გასაყიდიო. ამოილო საცვალი, მართლა რომ საუცხოვო! წმინდა, წმინ-
და ბატისტის, თხელი, როგორც ობობას ქსელი, სულ ძეირფასი,
ფართე არშიებ. მოელებული... მდიდარ კაცს მისყება თქვენი ქალი,
კაი მშიოთვიც ეკადრებაო! — მითხა. — ასეთი ძეირფასი საცვალი სა-
ჩერნი არ არის-თქო! — მიღუდე მე და თან ყველაფერი დაეთვალიერე;
ყველაფერზე ჯ. და ჩ. ეწერა, იგივე ასოები, რაც ბავშის საცვალზე.
მე ბევრი პრანქვა-გრეხეა არ მიყვარს, პიდ-და-პირ ვკითხე საიდან
ჩაუგარდა ხელში ასეთი ძეირფასი თეთრეული. — ჯერის დედ-სააო! —
მიპასუხა. — შენახვათ არ ღირს, სანამ ბავში გაიზდება — ბატისტი კი-
დეც დალპებათ, მე კი გადავწყვიტე, რომ ყველაფერი გავუიდო და
ფული ისევ ბავშს მოეახმარო. — მერე ამ ასოებს, ჯ. — ს და ჩ. — ს
რას უპირებთ თქო? — ვკითხე. — ასოების გადავკეთება ძალიან ადეი-
ლიაო! — მითხა. — თუ თქვენი ქალისთვის იყიდით — ჯ ადეილათ გა-
დაკრებება გ — თ, ჩ. — ს. კი ისე აქეს გარს მოქარეული. თოლოები შე-

მოხელეული — რომ არც-კი ჩანს, იყიდეთ, უსათუოთ იყიდეთ, იავათ
მოგცემთო! — ჩამაციელა; მაგრამ მე არ დაეთანხმდი, ეუთხარი, რომ
ჩენი მარიოსტის ნამეტანი წმინდა და თხელია მისი საცეალი... ან-კი
როგორ ეიყიდდი! როგორ მიცემ ნებას მარის, ნაპარავი საცეალი
არაროს?

— სუ, სუ მოდი! — შეაწყვეტინა ქმარმა. — ცილისწამებისთვის
სასამართლოში მიჰყავს თ ხალხი!

— სასამართლოში წასელაზე თუ იქნა საქმე — ერზენი წავა იქ
და არა მე! აბა ერთი დაამტკიცოს იქ, მსაჯულების წინაშე, სად და
როგორ მოკედა პატარა ჯენის დედა! ბავშის ლაპარაკს რომ უური
დაუკედო — ძალა ურებურათ დაფიქრდები! ამას წინეთ, ფერმიდან რომ
ქალაქში ებრუნდებოდით მე და ის — გაიხსენა, როგორ ცხოვრობდა
დედ-მამასთან პრეზიდენტი, რამდენი საქონელი, რამდენი ქენი ჰყავ-
დათ... ეინ იცის, იქნება ერზენმა კიდეც მოიპარა საწყალი ბავში!

— კარგი ერთი, მოდი! არც აგრე საძაგელი ქალია ერზენი! —
ისევ შეაწყვეტინა ლაპარაკი პეშუმ ცოლს. — შეიღო, — საძაგელი ჰყავს,
ეს მართალია, მაგრამ თითონ დედაზე ცულს არაერთ არაფერს ამ-
ბობს.

— ენახოთ, ენახოთ! — გაცხარებით მიუგო დეიდა მოდიმ. — ერ-
თი მისი გასამტყუნარი საბუთი კიდეც მაქეს, საცეალზე მოქარებული
ასოები, ჯ. და ჩ.

— იცი, რა ენათ. მოდი? — რამდენსამე წამს შემდეგ შენიშნა
პეშუმ. — თვეალ-უური ვადევნოთ ბავშის ყოფა-ცხოვრებას, და, თუ
რამე ცული შევნიშნოთ — ჩაშინევ გამოვესარჩლოთ... მადელონსაც
უთხარი, რომ მაშინევ შეგვატყობინოს, თუ რამე საეჭვო შენიშნოს.
მაშინ მე ეიცი, რასაც ეიზამ.

— ჰო, ახლა-კი აღარა მაქეს ბავშის ჯაერი! — აღტაცებით წა-
მოიძახა დეიდა მოდიმ და სიყვარულით შეხედა თავის ქმარს. — ყვე-
ლამ იცის, რომ თუ პეშუ რამე საქმეს ჩელს მოჰკიდებს — ის მარ-
თალი საქმეა!



არაფრათ იამებოლა ქოშენს, ასეთი ლპარაკისთვის რომ ყური
მოეკრა; უამისოთაც ეკრ იყო დაშვიდებული და მოსენებული, და
მაშინ ხომ სულ გადაიტოლა შიშით. სულ ეჩენებოლა, რომ თვალ-
ყურს აღევნებენ, ყველა ურწმუნოთ ეკიდება... მართლაც, ეკრაეის
ეკრ დაუახლოედა; მის მაღაზიაში აუარებელი ხალხი დადიოდა, მაგ-
რამ მარტო სავაჭროთ. სტუმრათ ერთიც არაეის დარჩებოლა ხალ-
ხე მასთან. მას-კი ისე ენატრებოლა, ისე სურდა ყველასაგან ყურად-
ლება, ჰარიებისცემა...

კუველაფერზე უფრო ქოშენი თავისი შეილით ამაყობდა და დარწმუნებული იყო, რომ ყოველთვის მშენიერათ მორთულ-გამოპრანჭული ეტაპს ტი კუველაზე ძალიან სასიმიზნო შთაბეჭდილებას ახდენდა; მაგრამ ედრასტა გარდა ქოშენი ამაყობდა პატარა ლელი-ჯენი-თაც, რომელიც კუველას უურადლებას იქცევდა თავისი სინაზით და სილამაზით; მყიდველები ხშირათ მარტო იმისთვისაც მოღიოდენ ქოშენის მაღაზიაში, რომ მშენიერი პატარა ქალისთვის მოეკრათ თვალი... ეს ძალიან ასიმოვნებდა ქოშენს, თუმცა მეორე მხრით ის ძალიან გულმოსული იყო იმ გარემოებით, რომ ჯენს ჰეპსი, მადლონი და ქერარიც-კი უფრო უყვარდა, ვიდრე თავისი „დეიდა ჰოლინა“; ბავში გამგონე და წყნარი, მუჩიდებული იყო, მაგრამ არაოდეს არ ეფექტობოდა, არ გალერსებოდა ქოშენს, რომელიც ხშირათ ჰუკრობდა თავის გულში, როდესაც ფანჯრიდან დაინახავდა ხოლმე ჰეპსის სახლისკენ მიმავალ ჯენს:

— გველის წიწილა აეიყვანე და ეზრდი, ნამდეილი გველის წიწილა! რამდენი რამე არ აეიტანე ამ ბაეშის გულისთვის, როგორი თავანწირულებით კუვლიდი, როცა ავათ იყო, და რით გადამიხადა კველა ეს? არც-კი მცკარება, არც-კი მცადრულობს! რომ შეეძლოს — მცონი მიწასთან გამასწორებს! ეფეცა და დედა მაგისიც რომ გარეთ გამეგდო იმ ღმეს — უფრო დამაფასებდენ მაშინ! ვინ იცის, იქნება ჩემთვისაც უკეთესი იქნებოდა, მაგათ რომ არ გადავკიდებოდი!

ნებრვილი არის მოკრადული.

ქერაბის დუქნის გეერდით იდგა პატარა, ორ-ფარჯვიანი სახლი, რომელის დარაბებიც მუდაშ დაკეტილი იყო. სახლს გარს მშენებელი დობე ჰერინდა უემოვლებული; ლობის იქით ჩანდა აუარებელი ხეები და ყვავილები: მშენებელი ვარდები, იასმანი, მიხაკი და ალექანდრები მშენებელ სუნნელებას ჰერენდენ გარშემო და ამით კველა ვაშელელ ვამოვლელის კურაღლებას იზიდადენ.

ყოველ დღე, როგორი დარიც უნდა ყოფილიყო, ლედი ჯერი
უსათუოთ წაეიდოდა ხოლმე თავისი მოხუცი მეგობრის, ექრანის
სანახავათ, მერე-კი ეუჩახე გაისეირნებდა, უთუოთ შეჩრდებოდა
ხოლმე მწერნე ღობესთან, და დიდ ხანს ალტაცებით შეჩრდებოდა
თეთრ, მოყენთალო, წითელ და პირისფერ გარდებს, რომლების ტო-
რებიც ღობის იქიდან ქუჩისკენ გაღმოიყურებოდენ. ბაჟში საშინალო
ენატრებოდა, რომ ვისიმე უჩინარ ხელს მოეწყიორა რამდენიმე გარდ
და გადმოევდო მისთვის, ან და სახლის უჩინარ მდგმურებს გა-
ლოთ პატარა ჭიშკარი და ნება მიეცეათ მისთვის ბალში შესულიყო.

მარტო ლედი ჯენი-კი არა, მთელი კეთილი ბავშვების "ქუ-
ჩის მცხოვრებლები ამავე ბედნიერებაზე ოცნებობდენ; ყველას უ-
დოდა გავიო, რა ხდებოდა ამ პატარა სახლში და ყველა ბავშვები
უდარაჯებდენ იმ დროს, როდესაც მეპურე ან მერძეე მოუახლოვ-
დებოდა სახლს; კარის დაკაკუნებაზე მაშინევ გაიღებოდა პატა-
რა ჭიშკარი და შეი პირბადინი ქალი გამოართვედა ხოლმე
რძეს ან პურს. ლედი ჯენი ამასაც ვერ ნახავდა ხოლმე; როგორც
მეპურე, ისე მერძეეც ძალიან ადრე მოდიოდენ, იმ დროს,
როდესაც პატარა ჯენს ჯერ მოსცენებით ეძინა თავის ლოგინში.
დღე-კი, როცა ჯენი ღობის წინ დისეირნებდა — მას ესმოდა მხო-
ლოთ იადონის მხიარული ჭიკვიე და ფორტეპიანოს ნაზი ჰანგები,



რომელზედაც ყიდასიც წყნარი და დაბალი, მაგრამ სასიამოვნო, გრძნობიერი ხმა ძევლებურ სიმღერებს და ოპერის ნაწყვეტებს აძლერებდა. ბავში, რომელსაც თითონაც მმენიერი სმენა და ხმა ჰქონდა, ხან დახან მთელი საათობით იდგა ღობესთან და ალტაცებით ისმენდა უცნობი მომღერალის მღერას.

ჰეპსის მეტრა არაენ არ იცოდა, რომ ჯენს მშენებირი ხმა ჰქონდა; მხოლოდ მას ჰქონდა ნება ბაეშის სიმღერისთვის ყური ეგდო; როცა ისინი მარტო დაწებოდენ ოთახში — ჰეპსი თვალებს ხუჭავდა და აღტაცებით ისმენდა სიმღერებს, რომლებსაც მისი პატარა მეგობარი მღეროდა თავისი ნაზი, კერცხლისავით წკრიალა ხმით. თუ ამ დროს ცნობის მოყვარე თავუნია ოთახში ცხვირს შემოჰყოფდა — ბაეში მაშინვე გაჩიტდებოდა. ამიტომ ჟერარი საშინლათ გაკირვებული იყო, როდესაც ერთ დილას თავისი დუქნის კარების წინ ჩამოჯდა წმინდა ჰერის ჩასაყლაპავათ და დაინახა მწერნე ღობესთან ლედი ჯენი, რომელსაც ისე უყურადღებოთ ეჭირა ხელში ცისფერი ყანჩია, რომ საწყალი ფრინველის ფეხები მიწას წედებოდა. პატარა სახლის დაკეტილ დარაბების იქიდან ისმოდა ეიღაცის დაწვლეული, დაბალი, მაგრამ მაინც სასიამოენო ხმა, რომელიც ერთი აპერის ნაწყვეტს მღეროდა; ლედი ჯენს აეწია ზეცით თავისი ლამაზით თავი, მიერაბა თავისი დიდი, ლურჯი თვალები და თითო ნაც იმ ჰანგზე მღეროდა, რა ჰანგიც ოთახიდან ისმოდა, მაგრამ ისე კარგათ, ისეთი სასიამოენო, წკრიალა ხმით, რომ ჟერარი გაშტრერდა და ცოტათ წინ წაიწია, რომ უკეთ გაეგონა; ბაეშის ნაზი, მშენები ხმა საუცხოვოთ ეწყობოდა ფორტეპიანოს მკენესარე, დაღვნებულ ჰანგებს... აღელვებულ ჟორარს თვალზე უნებლივ ცრემლები მოადგა და საჩქაროთ შევარდა თავის ლუქანში.

— ცოდეა, ასეთი ხმა აღაშიანშა არ შეამტკავოს! — ჰეიქრობდა
მოხუცი. — ნეტაფი-კი ისეთი ამაყი და მოუდგომელი არ იყოს ოუ-
რევის ქალი! უსათუოთ მოეკლაპარაკებოდი... და ის დათანხმდებო-
და ლელი ჯენის სწავლებაზე!

ამ დროს დუქანში შემოედა თეით ლედი ჯენიც თავისი ცის-
ფერი ყანჩით. მან ზრდილობიანთ ჩამოართვა ექრანს ხელი და და-
ქანცეით დაეშეა იქვე სკამზე. მის პატარა ფერ-მკრთალ, ნაზ სახეს
რაღაც დაღონება და აღელვება ეტყობოდა.

— იყით, ბატონი ექრან, რას გეტუვით? — წყნარათ დაიწყო
მან. — საშინლათ მინდა გავიგო, ეინ ცხოვრობს, ეინ მღერის იმ პა-
ტარა სახლში.

— ეინ მღერის იმ პატარა სახლში? — გამეორა მისი სიტყვები
ექრანმა. — ეინ და ქალბატონი დიანა, ჩემო პატარა ლედი.

— ეინ არის ქალბატონი დიანა?

— ქალბატონი დიანა — ოტრევის ქერივის შეილია. დედა და
ის ერთათ ცხოვრებენ აი მაგ პატარა სახლში. ორივე ნამდევილი
არისტოკრატკები არიან. ხომ იყით, რას ნიშნავს არისტოკრატობა?
არა? მაშ მე ახლავე აგიხსნით.

— უთუოთ ძალიან მდიდრები არიან, არა? — ჰერითხა ლედი ჯენ-
მა, რომელსაც უნდოდა გაეადეილებინა ექრანისთვის ახსნა.

— არა, არა, მდიდრება-კი არა — ძალიან ღარიბები არიან! ადა-
მიანი იბადება არისტოკრატათ.

— როგორც ზოგი ადამიანი იბადება ისე, რომ ზურგში მართუ-
ლი არა აქვს, არა? — ისევ ჰერითხა ჯენმა. — როგორც თქვენ, მაგა-
ლითათ, არა? ჰეპსი ამბობს, რომ თქვენ ზურგის მოხრა არ შე-
გიძლიათ.

— არა, აგრე არა! — გაიღიმა ექრანმა და სათვალეები შუბლზე
აიწია. გაგიგონიათ თუ არა, ჩემო პატარა ლედი, რომ ქეცყანაზე
შეფეხები არსებობენ.

— კი, როგორ არა! ისინი ყოველთვის ტახტზე ზიან და თავზე
გვირგვინები ადგიათ. ჰეპსი მპირდება, რომ ყველიერში საყველიერო
მეფეეს ენახავ.

— ჰო, აი, მაგ მეფეებზე გეუბნებით! მეფე — ყველაზე უფრო
მაღლა დგას, და მთელი ხალხი მას პატივს სცემს. მეფეებს შემდეგ



უკელაზე მაღლა დგანან არისტოკრატები, მაგრამ ისინი ტახტზე არ ზიან. ქალბატონი დიანას ბაბუა საფრანგეთის არისტოკრატი იყო. გაიგეთ თუ არა ანდა, რა არის არისტოკრატი, ჩემო პატარა ლედი?

— მგონია, გაეიგე! — დაფიქრებით მოუგო პატარა ჯენტა, რომელსაც ფართეთ გაელო თავისი ისედაც დიდი, ლურჯი თვალები. — ისე რომ ქალბატონი დიანა ტახტზე ზის და თავზე გვირგვინი ადგია?

— არა, არა! ისიც და დედა მისიც ძალიან ღარიბები არიან, არც ტახტი აქვთ და არც გვირგვინი. — დალონებით მოუგო ქერარმა. — ერთ დროს-კი ძალიან მდიდრები იყვენ, საკუთარი სახლი ჰქონდათ, დიდი, დიდი სახლი, ეტლი, ცხენები... ბევრი მოსამსახურები ჰყავდათ... მაგრამ როცა დიანას ბაბუა და მამა მოკვედენ — ეგ და მაგის დედა გაღარიბდენ და აი, ამ პატარა სახლში დადგენ. არაეს არ ახსოეს, როდის გადმოსახლდენ აქ. აგრე ათი წელიწადია, რაც მე აქ დუქანი გაეხსენი და ჯერ ისეთი ადამიანი არ მინახაეს, რომელსაც მანდ ფეხი შეედგას. ხან-და-ხან, დილაობით, ძალიან აღრე, ქალბატონი დიანა შემოდის ხოლმე ჩემ დუქანში და ყიდულობს ერთ, ორ ფორთოხალს დედისთვის. დედა მისი არ მინახაეს, უთუოთ ძალიან მოხუცი და ძალიან სუსტი უნდა იყოს, მაგრამ ორივე-კი საფრანგეთის ნამდეილი არისტოკრატები არიან.

— ძალიან, ძალიან აღრე რომ აედგე და მთელი დღე უუკარაულო შევანე ღობესთან, როგორ გგონიათ, ენახავ თუ არა ქალბატონ დიანას?

— შეიძლება ნახოთ, მაგრამ ისიც შესაძლებილია, რომ ვერ ნახოთ. თვეში ერთხელ ქალბატონი დიანა გამოდის სახლიდან, მთლათ შავებში, შავი პირპაღით და შავი ქალალდის ყუთით ხელში და სადღაული მიდის. როცა მიდის — ეჭუბა, რომ ყუთი საესეა, როცა ბრუნდება — მაშინ-კი ყუთი ცარიელი არის ხოლმე.

— რა მიაქეს ხოლმე იმ ყუთით, როგორ გგონიათ, ბატონი ქერაჩ? — ცნობის მოყვარეობით ჰყითხა ჯენტა, რომელიც ძალიან აღდელვა ამ უცნაურმა ამბავშა.

— არ ვიცი, ჩემი პატარა ლედი, ეს მისი საიდუმლოა. ქალბაზონი დიანა ისეთი ამაყი და თავ-დაქერძოლია, რომ არაეს არაფერს ელაპარაკება თავის თავზე. საწყალი ქალი! ნეტავი როდის დაღის ბაზარში? რისგან იშჩადებს საჭმელს? არ ვიცი, ეკრ გამიგა! მხოლოთ ეს ვიცი, რომ მათვეის მეპურქს და მერძეებს მოაქესთ რძე და პური.

— რამდენი ყეავილები აქვს, რამდენი ჩიტუნიები ჰყავს! ყოველ დღე როიალზე უკრავს, მღერის.. — დაფიქრებით წაილაპარაკა ჯენმა. — იქნება სულაც არ შია ხოლმე, იქნება არ უნდოდეს ბევრი ჭამა!

— ძალიან შესაძლებელია, ჩემი პატარა ლედი! — გაილმა ქერარმა. — შეიძლება არისტოკრატებს მართლაც ნაკლები მაღა ჰქონდესთ, ვიდრე ჩენ, უბრალო ხალხს!

— მართლა ბატონი ქერარ, კინალამ არ დამავიწყდა! — უცებ ადგილიდან წამოხტა და წამოიძახა ჯენმა. — პესიმ დამაბარა, კომბოსტო მიყიდეო.

ეკრარმა ამოუჩჩია საუკეთესო კომბოსტოს თავი, სიყვარულით უთავაზა თვით ბავშვს დიდი ფორთოხალი და დაკმაყოფილებული გაისტუმრა სახლში.

XII

ლედი ჯენის პირველაზე შესვლას პრისტოპრისტის სახლში.

ერთ დილას, როდესაც ლედი ჯენი ჩეკულებრივათ დასეირნინობდა მწევანე ლობის წინ, მან დაინახა, რომ პატარა ჭიშკარი გაიღო, ბალიდან გამოვიდა ხნიერი ქალი, რომელსაც გამხდარი, მოგრძო, ფერმურალი სახე ჰქონდა, და ხელი დაუქნია, მომიახლოედიო.

ლედი ჯენს შერტხეა და პირველ წამს უკან დაიხია, ეგონა, ეს



թաղաղո, Շացքծի ցամաչպահուղո վալո ջանշորմաս մուտքեթես, և յուլ
այ հոմ դաշեցրաւալոցի; ամաս ցարգա, ուս մալաշոնքը բյուրատ Շցիրտա,
սառհանցուուս արևուոյրաւրեցիս վարմոմալցընքընո, հոգուհը սկաեռօճա
վալնեարոն զօնաս ցերահո, հոմ—տացուո ուցալուո դասնաեա, մացրամ,
հոցուհը նիւթուոնան նացին Շցըոյրեցընուա, նուլուս ուս վինահատ մո-
սանելուց ձարահո կուշիկան և լոմուուո Շցեցւա Շացքծիան վալնեա-
րոնես.

— եռմ առ ցոնդա, իցմո քարահո, իցըն նալին Շցմոնքըուց և
պաշուուցի զատցալուորո, ա?—մուցերեցիուտ վյուտեա վալմա նացին և
վուշիրուս ցարցիո կուցու պայուն ցալուա.

— մալուան մոնդա, տու յո նեցաս մոմցութ!—ուկասուեա չյենմա,
հոմելուսաց սօսահուլուտ մուլատ այնտո քարահո, նահի սաեց.—ու-
նուս վամուցանաց Շցուուցիա?

— հասակուուցընուա! մալուան մյուսամուցնեթա անլուադն ընաեռ յց
տվյանո սպասուրո մյոցուահո. մալուան նօսահու, հոմ ցամցուանութ!—
լոմուուուտ զաշմարա վալմա և սօսահուլուտ դաւցա նացին մեահից տա-
ցուուս ցամեթահո, մոցիւսու եցլո. — գուգու սանու, հաւ ուցալու-պյուհուս ցա-
ցյանցէծ.

— ուցալու-պյուհուս մացյանցէտ? սամուան? հոցուհը?—մեսահուլու լու-
մուուուտ Շցեցուտեա նացին.

— այ, լուծու ոյցուան. լուծու վյուրուուսալցէթի ծյուրո համ հանս...
և մյ ծյուր համես ցեցաւու.

— մաթ ուցյան մեցաւուուտ, մյ հոմ այ պացուուուրուս վոն և սկան
դաշուուուու? մյուրո հարուա այսմուս առ լամուակետ?—ցայցուուցիուտ վյուտ-
եա չյենմա.—ուսուու մոնդուա, ուսուու մոնդուա ուցյանտան մուսելու!
մաթ ուսու ցյումուատ, մյ հոմ ուցյանտան ցրտատ ցմունքուուտ եռլումի?

— ահա, յց առ ցամուուու.

— ուցյան վալնեարոնու զօնան սահու, ահա?

— չո. ուցյան-յո հա ցյուցատ?

— մյ? լուցու չյեն.

— ଲ୍ୟେଲି ଜ୍ୟେଣ୍ଠି? ଲ୍ୟେଲି? ଲ୍ୟେଲିର କଥମ ମାର୍ଗରୁଙ୍ଗ ଏହିସାମ୍ବନ୍ଧରୁକ୍ତିରେ
ଉଦ୍‌ବିଚାରିବାକି?

— ଏହି ବିପରୀତ ମାତ୍ରା ଯୁଗ୍ୟେଲେଖିବିଲେ ଲ୍ୟେଲି ଜ୍ୟେଣ୍ଠି ମିଳାକଥିଲା. ମେ ଶର୍ଷିର
ଏହିକୁ ବିପରୀତ, ହା ଏହିର ଏହିସାମ୍ବନ୍ଧରୁକ୍ତି, ମାର୍ଗରୁଙ୍ଗ ଏହିର
ଏହିକଥା ଏହିକଥା ଦା ମିଳିବା ହାମି ତକ୍କେଣ ଏହିସାମ୍ବନ୍ଧରୁକ୍ତି ବାହିତ. ମେ କି
ଏହା ବାହି ଏହିସାମ୍ବନ୍ଧରୁକ୍ତି.

— ତକ୍କେଣ ମିଶ୍ରମିନ୍ଦରି ତାତୁରା ଦାସି ବାହିତ! — ଏହିକୁ ପ୍ରେସିଟ ଫାମିଲୀ
ଦିବାନାଥ ଦା ମିଳି ଯେହି-ମ୍ଯାରିଟାଲ୍‌ମ୍‌, ବାମିଲାରି ବାକ୍ୟ ପ୍ରେସିଟ
ବିଷୟ ଲାଭିଲମ୍ବା ଗାନ୍ଦାତା. — ଫାମିଲୀର କ୍ଷେତ୍ରରେ, ଓତାକଥିର. ଦେଇଲୁ
ଶୁଣିଲା ଗାନ୍ଦାରୁ ତକ୍କେଣି ତାତ୍ତ୍ଵ ଦା ତକ୍କେଣି ପିଲାଲୁରେ ଗର୍ବଦେଲ-ଯ୍ୟାକା ମେ-
ଘନବାହିରୁପ.

ଲ୍ୟେଲି ଜ୍ୟେଣ୍ଠି ସାମରାନ୍ଦେଶିତ ଗାନ୍ଧୀଜୀ କ୍ଷେତ୍ରରୁକ୍ତି ଦିବାନାଥ. ଏହିକୁ
ଗାନ୍ଧୀଜୀ ତାତୁରା, ଶୁଶ୍ରାବାନଭିତାନି ବିଦେଶି ଦା ଶ୍ରେଣୀରେ ବ୍ୟୁତି,
ଲାଭିଲାଇଛି, ବାଦାପି, ଅଧିକାରିମିଳି ଯୋଗିଲେବାକି ଲାଭିଲିନିଲି ଗାନ୍ଧୀଜୀର
ଦିଲି, ଗାନ୍ଧୀଜୀ ଦା ହବିଲି ବାନ୍ଦାରଦେଲି ପଦା. ବାନ୍ଦାରଦେଲିର ପଦା ମିଳିଲୁପ୍ରେ-





ბული, ძალიან მოხუცებული ქალი, რომლის დანაკვებულ, გამხდარ სახეს გარს ეხვერდა თოვლიერთ თეთრი თმა და რომელსაც თავზე პატარა, არშიებიანი, შავი აბრეშუმის ჩემიკი ეხურა.

— დედა! აი, ის პატარა ბავშვი და ის ფრინველი, რომლებზე-
დაც მე, ხშირათ გელაპარაკებით ხოლმე! — უთხრა მოხუცებულ ქალს
დიანამ და ბავშვი წარ წამოსწია.

— ლელი ჭერი, ეს ჩემი დედაა.

მოხუცმა ქალმა ბაეშს ხელი ჩამოართვა, მერე სიყვარულით
გადუსვა ხელი მის გრძელ, ოქროსფერ სუჭუკ თმას და ნელი, სი-
ბერისაგან აყანელებული ხმით ჰყითხა:

— ჩემი პატარა, ნუ თუ ას გინელდება მაგხელა ფრინველის
ხელით თრევა?

— არა, ტონის მარტო ფეხები აქვთ გრძელი, თვარა მძიმე სულაც არ არის! — შეიარყლათ მიუგო ბაჟშა. — აი, შინჯეთ, თუ გინდათ! — და მან გაუშეირა მოხუც ქალს თავისი ფრინველი.

— არა, არა! — გაიღიმა მოხუცმა. — ხელში აყვანა არ მინდა, მე მხოლოდ მინდა ენახო, როგორ დადის ეგ უცნაური ფრინველი. წე-
რაა, არა?

— არა, ეს ცისფერი ყანჩაა, ძალიან იშეიათი ფრინველია! —
მიუგო ბავშვა და ტონი ძირს ჩამოსეა.

— მართლა წერო არ ყოფილა! — წაილაპარაკა დიანაშ.

უცხოების დანახვაზე ტონიმ ამოიყეცა ცალი ფეხი და უშნოთ
დაიწყო ხტუნვა მეორეზე.

— აი, ასეთი ჯინიანია! — წყენით თქვა პატარა ჯერმა: — როცა
მინდა, რომ ვისმეს თავი მოაწონოს, თავისი ლამაზი ფრთხები აჩვე-
ნოს — ეს ყოველთვის ასე მოიკუშება და ცალ ფეხს ამითეცუადა
ხოლმე!

— ჩა უშეის! — გაილიმა დიანამ. — მაინც ძალიან ლაშაზი და ძალიან საკირველი ფრინველია. სიამოენებით გაუკეთებდი მაგრაინ

ფრინველს მატყულიდან! — ამ სიტყვებზე დიანამ მოკრძალებით შეხე-
და დედას.

— არა მგონია, ჩემო კარგო, რომ გამოგივიდეს რამე! — მიუ-
გო დედამ. — შეხედე, როგორი გრძელი და წერილი ფეხები აქეს!
ლაქისაგან გაეთებული მაგისთანა წერილი ფეხები ეცრაფრით ვერ
აიტანენ ტანის სიმძიმეს!

— ფეხებს მართულიდან გავაკეთებ და შერე გადავასხავ ზედ
ლაქეს! — დაუიქრებით თქვა დიანამ და ყურადღებით დააჩერდა ტო-
ნის გრძელ ფეხს. — შეხედე, დედა, მარტო ერთი მართული დაჭირა
დება, ისიც ნაშეტანი ბერი არ მოუნდება!

— ვიცი, ვიცი, ჩემო კარგო, მაგრამ მატყული? მატყული გავიწყ-
დება? სად იშვევი სწორეთ მაგის ფრთების მატყულს?

— ყურდანი დამპირდა, ნისიათ გამოგიგზავნი მატყულს.

— დიანა, დიანა, რას ლაპარაკობ? წარმოიდგინე, რა იქნება,
რომ არა გამოგივიდეს-რა! ხომ წახდება და დაიკარგება მაგდენი
მატყული! გი აჩევ, ისევ იაღონები და კვატის ჭუკები აკეთო, ისინი
ისე კარგათ გამოგიდიან, თითქო ცოცხლები არიანო!

— მამაწყინეს თავი კვატებმა და იაღონებმა! მინდა რამე ახა-
ლი, უფრო ლამაზი გავაკეთო!

— როგორც გინდა, ჩემო კარგო, მე არ გიშლი, მხოლოთ გი-
მეორებ, დაუიქრდი და ისე მაიქეცი, მაგდენი მატყულის ტყუილათ
წახდენა ხუმრობა არ არის.

ამ ლაპარაკის განმაელობაში ლედი ჯენი ყურადღებით ათეა-
ლიერებდა მთელ ოთახს. განსაკუთრებული მისი ყურადღება მიიქ-
ცია ბუხრის ზეეით დაკიდებულმა სურათმა, რომელზედაც იყო გა-
მოხატული მშეენიერი შესახედავი ყმაწევილი კაცი მღიღრულ, ლა-
შაზ ტანისამოსში. ეს იყო ქალბატონი დიანას ბაბუა, გრაფი ოტრე-
ვი. სურათს ქეეით, ბუხრის თავზე, იყო დაწყობილი თევთ დიანას
ნახელარი; მართულიდან გაეთებულ და შევანე გარუს შემოხევულ
ხევებზე იჯდენ ყვითელი და თეთრი იაღონები, რომლებსაც თვალე-



ბის მაგიერათ ბრწყინვალე, შავი, რგვალი მძიევბი ჰქონდათ ჩას-
მული.

— ღმერთო, რა შშენიერები, არიან! — თავისთვის ბუტბუტებდა
ჯენი. — ნუ თუ ნამდეილი ჩიტები არიან? ჩემ ტონის კიდეც ჯობიან
სილამაზით! მაგიერათ ჩემმა ტონიმ ხელუნვა და სიჩბილი იცის, ყო-
ველთვის მოიჩრდენს ხოლმე ჩემთან, როცა დაეუძახებ, ეგენი-კი
მკედრები არიან!

დიანა და დედა მისი სიამოენებით ადევნებდენ თვალ-ყურს იმ ალტაციებას, რომელიც ბაჟშის სახეზე იხატებოდა.

— ხედავ, ჩემო კარგო, ბაჟშიაც-კი დააუსა შენი ნიჭი! ხომ
გითხარი, რომ შენი იადონები ნამდეილ ცოცხალ ფრინვლებს გვა-
ნან! აჩერე კვატის ჭუკებიც, აჩერე, თუ გიყვარდე! ისინი იადონებზე
უკეთესებიც არიან!

დიანს დაღონებული, ფერ-მიხღილი და მოწყვენილი სახე მოლაპ
განათა მხიარულმა ღიმილმა, როცა პატარა, გინგლიან, გარგვალე-
ბულ ყეითელ ჭუკების დანახვაზე ლედი ჯენმა სტუნვა და აღტაცე-
ბით ტაშის კერა დაიწყო.

— გინდათ, ხელში დაიჭიროთ? — ჰერითხა დიანამ და გაუშვირა
ორი კველაზე ლამაზი, კველაზე პატარა ჭუკა.

ბაშმა გამოაჩინეა ორიცე, მიისუტა გულზე და სიყვარულით
დაუწყო მათ მოვერება და კოცნა.

— ჩა კამაზები არიან! ჩა მშენიერები არიან! — იმეორებდა ის.

— გეარიანათ გამომიერდენ, არა უშეს რა — ღიმილით დაეთანხ-
მა დაანა. — მიხვდით თუ არა, რისთვის ვაკეთებ მე იაღონებს და კვა-
ლის ჭილაბს?

— კერა! — გაიქნია თავი ბავშვია.

— საწერი მაგილებისთვის. უნდა დაეკერო ეგენი სხვა-და. სხვა ფერ მაუდის ნაჭრებზე... ის მაუდის ნაჭრები კი გასცრილი კალმის გასაწმენლათ დასჭირდება აღაშჩანს.

զերայու շաբաթական մարտական մարտի օր-

ჩენდა თაეს და არჩენდა მოხუც დედას, რომ კვატებს და ია-
ღონებს აკეთებდა და ჰყილდა ქურდანის სათამაშოების მაღა-
ზიაში.

ამნაირათ, სრულიად მოულოდნელათ, ლედი ჯენმა კილევ ირი
აჩალი, კეთილი და მოსიყვარულე მეგობარი იშოვა.

პდ. წერეთელი.

(შემდეგი იჭირება)



გაქცერიები ანუ გაცილები.

I



უ მაისის მშეენიერ ღამეში ფანჯარა გაგიღია, ჩემო პატარა მკიოხეველო, უსათუოთ შეამჩნევედი, როგორ იზიდაეს ლამპის შუქი პატარა მწერებსა და ფარვანებს. ისინი გალებულ ფანჯრიდან მაშინვე ლამპისაკენ გამოექანებიან, აღტაცებული დაფარა ფალებენ მის გარშემო და უმეტესი მათგანი აქვე ჰვიებს ხოლმე თავის სამარეს, უკეთელია ცობის მოყვარეობა გაგიტაცებდა და დაუწყებდი ამ მწერებს თვალიერებას.

— დედა, ზოგი რა პატარა! თვალში რომ ჩამიგერდეს, თით-საც არ ამოვისეამო, არა ერთხელ წამოიძახებდი გაოცებული. ბექრი მათგანი მართლაც იმდენათ პატარაა, რომ წერიელის ოდენათ მოჩანს; მაგრამ ასე პატარა მწერებიც ხომ ძირს დალოდავენ, დატრინავენ, იხედებიან, საზრდოობენ, მრავალდებიან, მაშასადამე მათ ჰქონიათ ფეხები, ფრთები, თვალები, ნაწლევები და სხვა შიგნეულობა. — რსინ რა არიან, მათი თვალები ან ფეხები რაღა უნდა იყოსო! იტყვი შენ. რასაკეირეველია, მათი ფეხები და თვალები იმდენათ პატარა არიან, რომ ძალიან კარგი მხედველობა უნდა გქონდეს, რომ გაარჩიო. როდესაც შენ ამ პაწაწინა მწერებს მიჩერებიხარ, შენი თავი

მათთან შედარებით დევ-გმირათ გაქცს წარმოდგენილი და გულ-შტკიუნეულათ და თან ამაყათ ამბობს: ჩა საკოდაეთ არიან ეს ფუმფუ-ლებით, მაგრამ წარმოიდგინე, ქვეყნიერობაზე არიან ისეთი პატარა არსებანიც, რომლებთან შედარებით შენი პაწია და საკოდაეთ ფუმფუ-ლა უზარმაზარი ცხოველია. ასეთ პატარა არსებათა სამეფო ძალიან დიდია, ხოლო ამ სამეფოდან ამ ქამათ გავიცნოთ მარტო ერთი ჯგუფი იმ არსებათა, რომლებსაც ბაქტიურიებს ანუ ბაკილებს ეძახიან.

როგორც გითხარით, ბაქტიურია წარმოადგენს მეტათ პატარა არ-სებას. არც ერთ ადმიანს არ შეუძლია მისი დანახეა, რაც უნდა კარგი თვალები ჰქონდეს, თუ არ მიმართა ერთგვარ იარაღს, რო-მელ საც მიკროსკოპს უძახიან. მიკროსკოპის უმთავრეს ნაწილს შე-ადგენს რამოდენიმე შუშა, რომლებიც ყოველგვარ პაწია არსებას ძალიან აღიდებენ, ხუთასჯერ, ათასჯერ და მეტჯერაც. მიკროსკოპით რომ გაშინჯო მაგალითთ—დამპალი, აყროლებული ხორცის პატა რა, ნამცეცის ოდენა ნაწილი, შიგ გაარჩევ ერთიცაზე არსებებს, რომლებსაც მეცნიერებმა ბაქტიურიები დაარქევს.

ზოგიერთი ბაქტიურია რგვალია და მიკროსკოპში წერტილის ოდენა ან ცოტა უფრო მეტათ მოჩანს; ზოგი—კი მოგრძო ტანისა არის, პატარა, სწორ ჩხირს წააგავს. თუ ათასჯერ გაღიდებული ბაქტიურია წერტილის ოდენათ მოჩანს, აქედან ცხადია, რომ ნამდეილათ, გა-უდიდებლათ ბაქტიურია წერტილზე ათასჯერ პატარა უნდა იყოს, ე. ი. ათასი ბაქტიურია რომ ერთათ შეაგრიოვო, ერთი წერტილისხელა ნამცეცის მიიღებ! აი რა პატარა არსება ყოფილა ბაქტიურია!

მიუხედავთ იმისა, რომ ბაქტიურიისათვის ბუნებას მეტათ პატა-რა ტანი ურგუნვებია, მას მოძრაობაც შეუძლია,—თუმცა ზოგიერთი ბაქტიურია კუთია;—ის იბადება, იზრდება, საზრდოობს, ცოცხლობს, მრავალდება, ბერდება და კვდება,—ერთის სიტყვით ისე, როგორც ადმიანი და სხვა ცხოველები. ბაქტიურია საზრდოობს კართოფილით, რძით, სისხლით, ბულიონით და სხვ. გამრავლებით ბაქტიურიები ორ გვარათ მრავალდებიან: ზოგიერთი ბაქტიურია რომ გაიზრდება და და-



სწოლდება, ნელ-ნელა შუაზე იყოფა და ამგვარათ ერთი ბაქტრია
ორათ იქცევა; ყოველი ამათვანი გაიზრდება თუ არა ისევ შუა გა-
იყოფა და ორათ იქცევა. ზოგი ბაქტრია 15 ან 20 წამის განმავ-
ლობაში კიდევ გაიზრდება, კიდევ გაიყოფა ორათ, ზოგი-კი გაზრდა-
სა და ორათ გაყოფას ნახევარ საათს ანდომებს, ზოგიც ერთ საათს.
შუათანა რიცხვით ჩომ ერთი საათი ეითვარიშოთ, აი რა გასაოცარ
მოელენას დაეინახეთ:

წარმოიდგინე, რომ სწორეთ შუალამისას დაიბადა ერთი ბაქტე-
რია; ეს ბაქტერია გაიზრდება, დასრულდება, შუაზე გაიყოფა და ერ-
თი საათის განმავლობაში ორათ იქცევა. ამ გვარათ ღამის პირველ
საათზე ერთის მაგიერ უკვე ორი ბაქტერია გვეყოლება. ერთი სა-
ათის განმავლობაში ეს ორი ბაქტერია დასრულდება და შუა-შუა
გაიყოფან,—ამ გვარათ ღამის ორ საათზე ჩევნ გვეყოლება ოთხი
ბაქტერია; ერთი საათის განმავლობაში ყოველი ამათგანი ორათ იქ-
ცევა და ამიტომ ღამის სამ საათზე გახდება $4 \times 2 = 8$ ბაქტერიათ;
ღამის ოთხ საათზე $8 \times 2 = 16$ ბაქტერიათ,—ხუთ საათზე $16 \times 2 = 32$;
ღამის ექვს საათზე $32 \times 2 = 64$ ბაქტერიათ, ამ გვარათ რომ იანგარი-
შო, მეორე შუადღემდე ე. ი. ოც-და-ოთხი საათის განმავლობაში ჩეიდ-
მეტ მილიონზე მეტ ბაქტერიას მაილებ. ამგვარათ ერთი ბაქტერია
დღე და ღამეში ჩეიდმეტ მილიონზე მეტ შთამომავლობას ტოვებს!
მაგრამ აჩანან ისეთი ბაქტერიებიც, რომლებიც ერთი საათის-კი არა
15 ან 20 წამის განმავლებაში ერთხელ იქცევინ ხოლმე ირათ. ეს-
ნი ხომ ოც-და-ოთხი საათის განმავლობაში ჩეიდმეტ მილიონზე გა-
ცილებით მეტ შთამომავლობას დატოვებენ!

ზოგიერთი ბაქტრია შეუაზე გაყიდვით-კი არ მრავლდება, არა
შედ თავის ტანში ჰატარა რვეალ სორსალს ამზადებს; ამ სორსალს
სპორას უძახინ. ეს სორსალი ანუ სპორა დასრულდება თუ არა,
ბაქტრიის ტანიდან გარეთ გამოდის და ჩამდენისამე წნის განმავლო-
ბაში სრულ ბაქტრიით გადაიკცევა. თუ ბაქტრიის საზრდო შემო-

აკლდა, ის დოდხანს ვერა ძლებს, ველარუ მრავლდება და მაღლე კედება. ბაქტერიას უყვარს ზომიერი სითბო. თუ ნმეტანი დაცხა, ან შესცივდა, ბაქტერია მაშანაც კედება, მხოლოდ სიცხესა და სიცივეს ზოგიერთი ბაქტერია გაცილებით უკეთ იტანს, ვიდრე მე ან შენ, ჩემთვ პატარა შეკითხევლო! აღულებული წყალი მას ვერას აკლებს, ყინულის შეა გულში რომ მოამწყვდიო, მაინც არ შეწუხდება, მაგრამ, როგორც გოთხარი, ასეთი გამძლე მხოლოდ ზოგიერთი ბაქტერიაა, უმეტესი მათგანი-კი ვერც აღულებულ წყალში იცოცხლებს დიდხანს, ვერც ყინულში.

რადგანაც ბაქტერია საშინელი სისწრავით მრავლდება, ამით რომ ქეყუნიერობაზე ძალიან არის გაერცელებული. ბაქტერია ჰაერშიაც არის, მიწაშიაც და წყალშიაც. ჰაერში ბაქტერია ხანდახან გაისერნებს ხოლმე. დიდიხნით ჰაერში ცხოვრება-კი მას არ უყვარს, რადგანაც აქ მისთვის საჭირო საზრდო ნაკლებათ მოიპოვება. მიწასა და წყალს ბაქტერია უფრო ეწყობა, რადგანაც აქ საზრდო ბლობათ არის. ყველაზე უფრო საყვარელი ბინა-კი ბაქტერიისათვის სხვა-და-სხვა ცხოველის ტანია და მათ შორის ადამიანისაც.

რათ უყვარს ბაქტერიას ყველაზე უფრო ადამიანისა და სხვა ცხოველების ტანი? იმიტომ რომ აქ ბაქტერიას სითბოც საუკხოვო აქვს, საზრდოც საქმარისი; ის-კი მეტათ ნებიერი არსება ბრძანდება: თუ თბილა და მუდამ მაძღარია, მეტი არა უნდა-რა! ადამიანის ტანი ბაქტერიიებისათვის ერთ უზარმაზარ ქეყუნიერობას წარმოადგენს, ისე როგორც ჩენენთვის დედამიწა. როგორც დედამიწა გაუნაწილებია კაცობრიობას და ერთ ალაგას ქართველები ცხოვრობენ, მეორეს ინგლისელები, მესამეს ფრანცუზები და სხვ., ადამიანის ტანიც ასე-ვე გაუნაწილებიათ ერთმანერთში ბაქტერიებს: ზოგი ბაქტერიები პირში ცხოვრობენ, ზოგი ყელში, ზოგი ცხირში, ზოგი თავზე, ზოგი კანზე, ზოგი ნაწლევებში და სხვ. ხომ გახსოვს, ლომშა რომ კოლის დასცინა? მერე რა დღე დააყენა ამ ერთიცას კოლომ ნადირ-

თა მეფეს, ძლიერ ლომბს! უჩინარი ბაქტრია კოლოშე გაცილებით უფრო ძლიერია. მიუხედავათ იმისა, რომ ბაქტრია მეტა პარაზინა არის, ის ერთობ ბევრი უბედურების მიზეზია; ბევრ ადა- მიანს ასწეულებს და ბევრს უსპობს სიცოცლეს.

ილბლათ ყველა ბაქტრიია ასეთი აზ არის; მათ შორის ბერია უენებელი. ბერის სარგებლობაც მოაქეს ადამიანისათვის, მაგრამ ყველა ამ ბაქტრიერების შესახებ შემდეგ წერილში ვიღაპარაკოთ.

୧୦୮

(ঢাঙ্গ ও পৰিবেশ)



ქვის საუკუნის გავზები.

თარგმანი.

IV

მ ი გ მ გ რ ე ბ ი



დო ცხრა წლისა იყო. იმას მეტათ ნათელი და შორმჭერეტელი თვალები ჰქონდა, განიერი ცხვი-
რი და დიდი პირის ნახევი, მაგრამ ამ ულამა-
ზო სახეზე დიდი სიმამაცე გამოიხატებოდა. ის
გულმოლგინეთ შეელოდა მუშაობაში დედას
და მამას, მაგრამ ზოგჯერ, თაეისუფალ დროს,
ძალიან მოწყენილი იყო ხოლმე; იმას ამხანაგი
უნდოდა, რომელთანაც შეეძლებოდა თამაში,
თაეისი შთაბეჭდილების, აზრების გადაცემა და
სიმამაცის გამოიჩინა.

ერთხელ, როდესაც ის უსაქმოთ იყო, ერთ დიდ ხეზე აცაცდა,
მაგარ ტოტზე ჩამოჯდა და ქანაობდა. ამ დროს იმისი ყურადღება
მიიქცია მეორე ხის ტოტმა, რომელზედაც შევი რაღაც იჯდა, ისიც
ედოსაეით ქანაობდა. ედო დიდხანს შესცეკროდა იმას და ბოლოს გა-
დასწყიტა, რომ ისიც ჩემსაეით ან ბიჭა, ან ქალია და გაცნობა
მოინდომა. იმას ადრეც ენახა ბავშები, რაღაც დედ-მამის ნაცნობე-
ბი მეორე გამოქვაბულიდან თაეის შეილებით სტუმრათ მოდი-



ოდენ ხოლმე. ედო იცნობდა იმათ, მაგრამ არც ერთს არ დაშეგვიბრებია. ახლა-კი ძალიან უნდოდა შეეტყო, ვინ იყო ის ბაეში, რომელიც მეორე ხეხე ქანაობდა.

ის ხილან ჩამოსტრა და საჩქაროთ მიეკიდა იმ ხესთან, რომელ-ზედაც ბაეში იჯდა, მათ მარტო პატარია მინდობრი აშორებდა. როდე-საც მიუახლოებდა ედომ შენიშვნა, რომ ის ბაეში ცნობისმოყვარეობით იყურებოდა. ედო მახლობელ ხეზე აცოკდა და იქიდან დაუწყეს ერთ-მანეთს კურება.

პირენელათ ელომ გასცა ხმა.

— ეინა ხარ შენ? — ჰკიოთხა მან.

— მე, მუქა გარ—უპასონთა ბავშვი, შეინ ეინა ხარ?

— მე? მე ერთა გარ.

— საირანა ხარ?

— აი იმ გამოქვაბულიდან, შენ?

— მეც აი იმ მდინარესთან რომ გამოქვაბულია იქიდამა ვარ
და შენი სრულიადაც არ მეშინიან.

— არც მე მეშინიან შენი, უპასუხა ედომ.

— მაშ წაეკიდეთ აი იმ სალ-კლდეჭე და ქეები გისროლოვთ. ორი-
ვენი ხილან ჩამოეიდენ და სალი-კლდის ძირას გაიქცენ. კლდე მდინა-
რებს გაღმოპყურებდა და კიბესაეით ასასელელი ჰქონდა, ბავშები უც-
ბათ აკავედენ და იქ ზეებით პატარა მოედანზე დასხლდნ.

ამგენარათ შეხედუნ ეს ორი მომავალი მეგობრები.

ბავშები მაღლ დამეგობრუდენ. ორივეს თავისი თავი დიდ ეინშეთ
შეაჩინდათ და მაღლ ვაკუაცებათ უნდა გამხდარიყენ და ერთმანეთს მე-
დიდულათ ექცევოდენ, მაგრამ ერთმანეთის სიმიმაც შეაინც სწამდათ.
ისინი ისე დამეგობრდენ, რომ ედომ მუხა თავისთან მიიპატიდა. ეს
შეაზინ ძალიან დიდ გამბედაობათ ჩაითვლებოდა, რადგან ბავშებს
დიდიხნით სახლიდან მოშორების წებას არ აძლევდენ, ეს ბავშებს გაც-
ხარებულ ბაასში სრულიად დავიწყდათ და. საჩქაროთ ტყის ბილი-
კით ედოს მღვიმეში გაიქცეს.

ედოს დელ-მამას ამ ორი ბაეშის მეცობრობა ძალიან მოწონათ. ედოს მამა ამ ბაეშის მამას კარგათ იცნობდა, ივას სახე-ხაზიანს ეძახდენ, იმიტომ რომ ერთხელ მღვიმეს დათეს იმისთვის სახე და-ეფთავნა. თითონ ბაეშს მუხას იმიტომ კი არ ეძახდენ, რომ ის მუ-ხასავით მაგარი იყო, არმედ იმიტომ რომ იმათ მღვიმესთან პატარა მუხის ხე რჩედებოდა. ცალ ყურა (ასე ეძახდენ ედოს მამას, იმიტომ რომ ბაეშიასას გარეულ კატას ერთს ყური მოავეგლიჯა). ხშირათ სახე-ხაზიანთან ერთათ ნადირობდა და ამა რა გასაკვირე-ლი იყო, რომ მათი შეილებიც დამეგობრებულიყვენ. მეორე დღეს ედო თაეისი მამით მუხასთან სტუმრათ მიეიღენ და მათი მამები სია-მოენებით შეცემეროდნ თაეიანთ შეიალებს, რომელნიც ისე მარჯ-ვეთ ერთი ხიდან მეორეზე თაეისუფლათ დახტოდენ. ისინი-კი არ თამაშობდენ მარტო, სულ სხვა ფიქრები ებადებოდათ თაეში. თაეის თაეს ნამდეილ მონადირეებათ ჰერნობდენ და გარეული ცხე-ნის მოკველას ნატრობდენ.

V

სუმიშარი გამგედსობა.

გაშინ გარეული ცხენები ბევრი იყო, მთელი ფარა ას-ასო-ბით სძოედა ტემზეს დიდრონ საძოვარ მინდორზე. იმათი ხორ-ცი, როგორც ადამიანისთვის, ისეც მხეცებისთვის ხშირათ სასურველი და გემრიელი იყო. ტყავს-კი არ აფასებდენ, რადგან არც სიოთხო ჰქონდა და მეტათ ხმელიც იყო. მარტო ტყავის ბაწრებს აკეთებდენ. ხორციც თუმცა გარეულ კმბეჩისა და ხარისავით გემრიელი არ იყო, მაგრამ მონადირეს ხშირათ შიმშილით სიკედილისაგან იხსნიდა ხოლმე.

ედოს და მუხას უნდოდათ, თაეისი ძალით და მოხერხებითთ



დედ-მამის დაუხმარებლათ გარეული ცხენი დაეჭირათ. ისინი დიდ ხანს ჰუკერობდენ ამაზე, თუმცა კარგათ იცოდენ, ეს მათთვის ძალიან მძიმე საქმე იყო. ცხნებიც მიმხედარი იყვნენ, რომ ყველაზე საშა-შარი მტერია მათთვის აღამიანი; კაცის დანახეაზე გარბოდენ და ში-შით დილებანს იმ ადგილს აღარ ბრუნდებოდენ ხოლმე. ჩეენმა მე-გობრებმა მათი ჩეეულება, კარგათ შეისწავლეს და როგორც კარგი გამოცდილი მონაცირენი ისე ემზადებოდენ.

ედოს მღვიმე იყო იმ ნაკადულის ჩრდილოეთის მხარეს, რო-
მელსაც ორი მხრივ კლდანი ნაპირები ჩასდევდა. მუხას მღვიმე-კი —
იმავე მხარეს დასაელეთისკენ. ამ ორ მღვიმეს შუა სამი კერძოს მა-
ძილი იყო. მდინარის სამხრეთისაკენ დიდი საძოვარი მინდორი მო-
ჩანდა. აღმოსაელეთისკენ პატარა კაცე ადგილი იყო, რომელსაც გარა.
შემო მთიანი ადგილები ეხვია. მუხა და რცხილა ისე ახლო ახლოს
შეჭრდილიყვნენ ერთმანეთთან, რომ ბავშვებრსთვის კარგ თავ შესაფარ
ადგილს წარმოადგენდა. ხეზე ისნი უშიშრათ ისხდენ ხოლმე იმიტომ,
რომ მაშინდელ მხეცებს, გარეულ კატას გარდა, რომელიც ახლან-
დელ ფოცხვერს ჰგვანდა, ხეზე ასელა არ შეეძლოთ. ვაკის შუა აღ-
გილს ჯვეუთა დიდრონი ხევი იყო ამოსული და იმ ადგილით
უნდოდათ ესარგებლათ ჩექნ პატარა პონადირეებს. თუმცა გარეული
ცხენები ხშირათ პატარა და დიდ ვაკეებზე სძოვდენ ხოლმე, მაგ-
რამ იქაეთ სხვა გარეული საშიში მხეცებიც დაღიოდენ, ამიტომაც
მაშინდელ კაცებს ხევის მოშორებით ყოფნა არ უყვარდათ.

ბაეშებმა გადაწყვიტეს თავიანთი სურეილი სისრულეში მოყვა-
ნათ, მაგრამ რა შეეძლოთ ამ ბაეშებს? განა უკეტობა არ იყო იმათ-
გან იმ გვარ მხეცთან შებმა, რომელიც ბეჭრათ იმათზე ღანიირი
იყო და რომელიც სიჩბილითაც ყველა სხვა მხეცებს ჯობდა?.. ისი-
ნი მამებსაეთ მძიმე იარაღს ხომ კერ იხმარდენ და ვერც მახების
დაგრძა შეეძლოთ, მაგრამ ორივეს ძალიან უნდოდათ ჯერ ერთი,
საჩინოს შოენაში დახმარებოდენ ოჯახს და მეორე მარჯვე მო-
ნადირეების სახელიც გაეთქვათ. ბეჭრი იფიჭრეს და ბოლოს გა-

მოიგონეს შემდეგი: უნდა ამოეთხარათ დიდი ორმო, და ზევიდნ გამხმარი ფიჩი დაეფარებინათ ისე, რამ ნადირს ვერავერი შეემჩნია, ორმოს თავზე ფეხი დაედგა და შევ წაეარდნილიყო. საქმე ის იყო რითი უნდა ამოეთხარათ ორმო, რომ არც თოხი და არც ნიჩაბი არა ჰქონდათ? მაგრამ ამ გარეულმა ბავშებმა კარგათ იცოდენ თუ როგორ მოეხერხებინათ ეს. აიღეს დიდი ლოკოკინის ბუდე და დაუწეუს თხრა მიწას; ლოკოკინა ძალიან მაგარი იყო, მჭრელი წევტიანი პირი ჰქონდა და იმითი მიწის გაჭრა და თხრა ადგილათ შეიძლებოდა.

ჩეენმა მონადირებმა ამოარჩიეს ტყის პარი. აქ დიდრონ ხეებზე თავ-შესაფარი იპოვეს, საიდნაც კარგათ შეეძლოთ დაენახათ თუ რამე საშიშარი მოელოდათ. როდესაც დარწმუნდენ, რამ გარშემო სრული მშეიდობიანობა იყო გადაწყვიტეს ერთს ორმო ეთხარა და მეორეს ედარაჯნა. იმ დღეს, როდესაც მუშაობა უნდა დაწყოთ, ორივე დიდრონ ტორებზე დასხდენ და იქიდან უმზერდენ, ბალახი ხომ არსად ინძრევათ. გარშემო სული სიჩუმე იყო.

— შენ არ გეშინიან? — ჰქონდა ედომ.

— შენთან ერთათ — არა — უპასუხა მუხამ.

— მაშ ჩავიდეთ მალე — თქეა ედომ და ხიდან უცბათ ჩამო-
ცურდენ.

ჯერ დიდა, განიერ ტოტებიანი, ეკლიანი ხე მოძებნეს, რომ
მისი ტოტებისაგან დაწნათ საომარი ფარიით, რომ თუ მხეცები
თავს დაეცემოდენ — ის აეფარებინათ წინ. ყელა ამას ძალიან ჩეარა
აკეთებდენ, იმ დროის კაცები უეჩეულნი იყვენ სისწრავეს. როდესაც
ბავშებმა თავ-შესაფარი გაიკეთეს, მუშაობას ხელი მოჰკიდეს. იმათ
მინდორში ცხენების კვალი მონახეს და სწორეთ იმ ადგილს გადა-
წყვეტეს ორმოს მოთხრა. ამ ადგილის გარშემო მაღალი ბალახი
იყო და ბავშებს ადგილათ ვერავინ დაინახავდა. თუმცა ხეებიღან ცო-
ტა მოშორებით იყვენ, მაგრამ იმათ არ ეშინოდათ. ამ ჩეენ გულად
მონადირეებს კინალამ ჩხუბი მოუკიდათ ამაზე, თუ ვის დაეწყო პირ-
ველათ ორმოს თხრა. ორივეს უნდოდა პირველათ დაწყო, ბოლოს

გადაწყვიტეს, რომ ედოს მოთხოვა დაეწყო და მუხას ედარაჯნა ხეზე. ედო ხიდან ჩამოვიდა ხელში ლოკოკინით და საქმეს შეუდგა; მუხა ყურს უგდებდა თავის ამხანავს, რაღაც იკოდა, რომ ის საშიშარ მდგომარეობაში იყო. ედო მარჯვეთ და სწრაფათ ასრულებდა თავის საქმეს.

ძნელი ის იყო, რომ ორმოს გარშემო ნათხარი მიწის დატოვება არ შეიძლებოდა, რადგან ფთხილი ნადირი ძალიან ადვილათ მისედებოდა კაცისაგან დაგებულ მახის სიახლოვეს; მეტი ლონე არ იყო მიწა უნდა ჭაობისკენ წაელოთ და იქ ჩაფყარათ, მაგრამ ეს ძალიან ძნელი იყო და თან საქმეც გაგრძელდებოდა, ბოლოს მუხმ მგლის ტყავით, რომელიც თანა ჰქონდა, მოიგონა მიწის გაზიდვა; დედა-მიწაზე გაფინეს ტყავი, ზედ მოთხრილი შიწა დააყარეს და ისე გა-ათრიეს გადასაყრელათ.

ედო დიდან მუშაობდა, ბოლოს მუხას ჯერიც მოვიდა. მზის ჩასელამდის ასე გულმოდგინეთ მუშაობდენ ჩეენი გმირები და შემ-დევ სახლში დაბრუნდენ. მეორე დღეს უფრო მეტი იყო ამო-თხრილი და გადაზიდული. მარტო ერთხელ დასჭირდა მუხას მევიბ-რის გაფრთხილება, რაღაც ფარუნი მოესმა და სწრაფათ ააფრინა ხე-ზე მეგობარი, მაგრამ ესეც უბრალო შიში გამოდგა, პირუტყვმა სულ სხვა გზით გაიარა.

შიწა რბილი იყო და ძალიან ადვილათ ითხრებოდა. ზაქშები შხარულათ მუშაობუნ, მაგრამ მათი სიხარული მწუხარებათ გადა-იქცა, გომინდა მაგარი ნიადაგი და ლოკოკინით იმისი თხრა იმ დღეს შეუძლებელი გახდა.

იმ დროის მღვიმეს მცხოვრებთ მაგარი ნიადაგის სათხრელი სხვა იარაღი ჰქონდათ. ედომაც მეორე დღეს მოიტანა ერთი დიდი წევტია-ნი მუხის კეტი, რომლის წევრი ცეცხლში იყო გარუჯული და ამის გამო რეინასაეთ გამაგრებული იყო. ედო დედამიწაში არჭობდა ამ კეტს, გაანძრეედა თუ არა დაითმნებოდა და მეტი ლოკოკინით ამო-წმენდდა. თუმცა ახლა მუშაობა უფრო ძნელი იყო და გვიანი, მაგრამ

მაინც ბავშები იმედს არ ჰყარგავდენ, რომ ამ საქმეს ბოლოს მოახამდენ. რადგან ამ მუშაობის დროს მათ საშიში არა შემთხვევიათ-რა, ამიტომ მეტი სიმჩნეები მიეცათ და ხშირათ ორივე ერთათ მუშაობდენ ხოლმე. მაგრამ ეს იშეიათათ ხდებოდა, რადგან სიფრთხილე ბაეშებს ჩეცულებათ ჰქონდათ გადაქცეული. ერთხელ, როდესაც ედო ორმოზი მუშაობდა და მუხა-კი უდარაჯებდა, უკანასკნელმა ხმა მაღლა შეშინებული ხმით დაუკირა:

— გაიქცი — და ორივენი სისწრაფით გაექანენ ტყისაკენ. როდესაც უშიშარ ადგილს მოემწყვდენ მუხამ წამოიძახა:

— უუურე.

ედომ გადინებდა და იყრძნო, რომ მუხა შემცდარი არ იყო ის, რაც ბაეშებმა დაინახეს, იმათ მაებესაც-კი შეაშინებდა; იმათ შეაშინეს რომ მდინარის ნაპირას ლერწამი ინძრეოდა და რაღაც აჩსება არშინ ნახევარზე თავს მაღლა იღებდა. ეს სანახავი მაშინ იშეიათი იყო და მღვიმის მცხოვრებთ ბევრს არ ენახა; ეს იურ დიდი, უზრამაზარი გველი, რომელიც წყალშიაც ცხოვრობდა და დედამიწაზე-დაც. ამ გვარი გველები, როგორც ბევრი იმ დროის სხვა უზრამაზარი მხეცებიც, მაშინ ნელ-ნელა იხოცხოდენ და ისპობოდენ. ედოს მამას მარტო ერთხელ ენახა ეს საკეირეელება და ედომ იმის ნაამობიდან იცოდა, რომ არის ისეთი სულდგმული, რომელიც მა-შინდელ ვეფხებზე და დათვეზე უფრო საშიშარი იყო.

ბაეშები უშიშრათ დასკეროდენ იმის მოძრაობას, ის ნელ ნელა ინძრეოდა. ბოლოს მაღლა აიღო თავი, შემოეხეია ერთ დადხეს და თავი ძირს ჩაჰადა. სიგდე ათ საენეზე მეტი ჰქონდა და სიმსხო ერთი არშინი. ის რომელიმე ნადირს უზარაჯებდა და რაც უნდა დიდი ნადირი ყოფილიყო ერთი პირის დაელებით გადაყლაპედა. ის უველა მხეცებისათვის საშიში იყო, გარდა მამონტისა, მარტო-რქისა და ზოგიერთ უზარმაზარ ცხოველებისა, რომლებიც ერთობ დიდრო-ნები იყვენ. მაგირათ გაზეულ ხარს, ცხენს, ირემს და კამბემს ერთ-ბაშათ ადგილათ გადაყლაპედა. შეშინებული ბაეშები დიდხანს ვერ



განერდენ თავიანთ აღვილას და ტყე-ტყე გაექანენ სახლში, რომ
უფროსებისთვის გამზაო, რა სანახავიც ნახეს.

VI

მოწარმენი გეგურჯვერა

გამებს შეალებზე უფრო შეეშინდათ და მეორე დღეს დი-
ლით აღვა წავიდენ იმ ადგილს, სადაც ბავშვებს ეს საშინელი სანა-
ხაები ენახათ. გველი ისევ იმ მდგომაჩერობაში იყო, როგორც ბავ-
შებმა დასტოკეს, თავს აქეთ-იქით ატრიიალებდა, რომ რამე მსხვერპ-
ლი ჩავედო ხელში. ნადირს უკვეელათ მაღლ იშოვნიდა, რადგან
გარეული ცხენები მინდორში ბლომათ დასეირნობდენ და ხან-
დისხან გარეული ხარი და კამბეჩიც გამოჩენდებოდა ხოლმე. უფ-
რასები დიდხანს არ დარჩენ ექ. როდესაც დარჩეულდენ, ბავშები
მართალს ავზობენო, ისინი ს-ჩქაროთ გაიქცენ, რომ წყლის პირათ
მცხოვრებ ხალხასთვის შეეტყობინათ საშიშარი მტრის გამოცხადე-
ბა. რადგან ისინი განსაკუთრებით თევზის ჭერით საზრდოობდენ
ამიტომ ეს გველი მათთვის უფრო მავნებელი იყო, ვიღრე გამო-
ქვაძულში მცხოვრებლებისთვის; მცდიმები მაღლობზე იყო, წყლის
პირიდან მოშორებით, მეოთეზები-კი უფრო დაბლობზე ცხოვრებ-
დენ და უბრალო ქოხებში და მიწურში იღენ. ედას მამამ რამდე-
ნომე მეოთეზე მოიყანა, იმ ადგილას საცა გველი ნახა, მაგრამ ის
იქ აღარ დაუხვდათ. ბავშებმა უამბეს, რომ გველმა გადაყლაპა გა-
რეული კამბეჩი, წყლისაკენ გასრიალდა და აღმათ ზღვისაკენ გა-
ემგზავრებოდათ.


როდესაც ბავშვები დამზიდდენ ისევ თავიანთ თრმოს თხრას ჟეფუდენ. მას აქეთ, რაც ბავშვებმა მუშაობა მიატოვეს ამ ადგილის ბევრი მხელი დასეირნობდა თავისუფლათ: იქ იყო გარეული კამპ-

ჩი, ხარი, დიდრონი ცხენი, ინემი, მარტო ჩქა, რომელიც კაობებდა ში ჩაწოლილიყო. მამონტიც-კი შემოსულიყო ამ ვაკეზე და ი აეს პატარა შეიღს ადევნებდა თვალს, რომელსაც შორიდან ხარბის თვალით ვეფხე უყურებდა. დათე და აფთარიც-კი დასეირნობდენ არსებინათ. რამდენიმე დღე იყო ჩაც აქ ადამიანს არ კაველო და ამიტომ ასე თამამათ დადიოდენ ეს მხეცები. თუმცა ადამიანი, იმათ-თან შედარებით ძალიან სუსტი სულფვეულია, მაგრამ მხეცებს ძა-ლიან ეშინიანთ, ადამიანში რალაც უწილლეს ძალას და უპირატესო-ბასა გრძნობენ და მხეცა მარტო მაშინ შეებმის კაცს, თუ იარაღი უკა დაუნახა ხელში.

როგორც-კი ბავშები ორმოსთან მიერდენ, მხეცები აღარ გა-მოჩენილან, მაგრამ მაინც ჩევნი მუშები ძალიან ფრთხილობდენ. ორმო კარგა ღრმა იყო და შიგ მომუშავეს გათავების დროს ამოხ-ტომა ძალიან გაუჭირდებოდა. ორმო დამზადდა. წერილი ფიჩის გა-

დაათარეს, ფიჩის ზემოთ თხე-
ლი ბალახი დააყარეს, მერე მი-
წა, მერე კიდევ ფიჩი, კიდევ
ბალახი და კიდევ მიწა, ისე,
რომ ის ადგილი მინდობრში არ
ეჩჩოდა.

ბავშები ყოველ დღე მო-
დიდენ ამ ორმოს სანახავათ,
ხეებზე დასხდებოდენ და იქიდან
უყურებდენ. გავიდა რამდენი-
მე დღე, ბავშები ძალიან ლე-
ლავდენ; ისინი ხედავდენ, რომ
აუარებელი პირუტყვები დადიო-
დენ იმ ადგილას და ორმო ს-კი
არ ეკარებოდენ. ჩევნისა მონა-
დირეებმა განგებ ეს ადგილი ამოირჩიეს, რადგან აქ ბევრი პირუტყვი





დადოდა საძოვრათ და ახლა-კი, თითქო იმათ ჯიბრზე, არც ერთი
ახლოს არ ეყარებოდა. ერთხელ გულის ფანტალით თვალს აღვენებ-
დენ ერთ დიდ ცხენ-იჩემს, რომელმაც მდინარეზე წყალი დალია
და ნელ-ნელა ძოვნა-ძოვნით იმათ ოჩმის მოუხალოვდა, ხეებ-ქეებ
შედეა, თითქოს თავისი სიმშევნიერე უნდა ეჩვენებინა, ბოლოს უკან
გამოტრიალდა და სიჩქაროთ დაიმალა.

შემოდგომის სიცივები დაღა, დედამიწა რთვილით იყო თეთრათ მოფენილი და ყოველნარი პირუტყვების კეალი მოჩანდა. ბავშები არაფერს უურადღებას არ აქცევდნ, იმათ ორმოს ნახვა ეჩქარებოდათ. სწორ ადგილი აღარ მოჩანდა,—უთუოთ ორმოში რომელიმე მხეცი ჩაეკარდა, გაითიქნეს ბავშებმა და შიში დავიწყდათ. ხეგბილან საჩქაროთ გადმოხტენ ქრის შუბებით ხელში და ორმოსკენ გაექანენ. როგორც კი ორმოს მიუახლოებენ ხვა-მალალი ყვირილი და ხტუნეა მორთეს. სიხარულით აღარაფერი ესმოდათ; ორმოში კარგა მოზღილი ახალგაზდა, რამდენიმე თეის, მარტო-რქა ჩაეკარდნილიყო და მთელი ორმო დაეჭირა, საწყალი ბეჭრსა ცდილობდა როგორმე ამომტრარიყო, მაგრამ ვერ ახერხდა. იმისი გრძელი სახე და ჩქა ორმოს პირამიდის სწერდოდა. ის პატარა ბრაზიანი თვალებით უურებდა თავის გახარებულ მტრებს, ორმოს გარშემო მიწა ნათხარი იყო, როგორც ეტყობოდა ამ მარტო-რქას დედაც თან ეყოლებოდა, რომელიც უკეველია ეყდებოდა თავისი შეიღის განთავისუფლებას. თუმცა ამ კამათ აქ არ იყო, მაგრამ ბავშებმა იცოდენ, რომ დედა შეიღს თავს არ დაანგებდა, ისანი საჩქაროთ ხეგბზე აციცლენ და დაიმალენ, მართლაც დედა მალე დაბრუნდა თავისი შეიღის დასახსნელათ.

33. 3 - 15.

(ପ୍ରଦେଶୀ କଣ୍ଠ)



ა კ რ ი ს ტ ი ხ ი.

(წარმოდგენილი ოქლაგიძან გეურგე ქამუკოვისაგან).

ყოველ მხარეს კურთხეული მობიბინებს ათას ფერათ,
აგერ მწყერიც მას დახსარის, ყური უგდეთ თუ არ გჯერათ,
ნაღა ნატრობს მის მომყვანი ქვეყნისათვის მოსალხენათ;
აღტაცებით ღმერთს შესტრირის — ამინდსა თხოვს შესაცერათ.

ა ნ დ ა ზ ე ბ ი.

(წარმოდგენილი ჭ. სესნა შეილისაგან).

ცხენილან ჩამოვარდნილს ვირიც არ შეისვამსო.

შენახულს შემნახაეთ უნდა სჯობდესო.

(წარმოდგენილი გ. ბოკერიასაგან).

ბოროტი შეიღის დედასა რა მოაშორებს სევდას.

✓
ଅନ୍ତାଗରାମା.

(ଫିରମିଲାଙ୍ଗିନିଲାଦ ମ. ଲ୍ୟେଜାମ୍ବିଲାସାଙ୍ଗାନ).

ପୁଅଲା ନିଗତିର କ୍ଷେତ୍ରା — କିର୍ତ୍ତୁରେଲା,
ଶାଖିଶି ଗାମିଗରାଲୁଗବା;
ତୁ ହ୍ୟେତୁରେବା ମେଳନ୍ତେ—
ନିକ୍ଷେପିଲାରୀର ଲାଗନ୍ତା ହ୍ୟେତୁରେବା。
ମେଲାମ୍ଭେ କ୍ଷେତ୍ରା — କାମାଶା,
ନାଶାଲିଲୁଗେ ହରାମ ହ୍ୟେତୁରେବା;
ଶାମିଲୁଗେ ଶ୍ଵେତି ଏଷାତି
ନ୍ତରା ଏଣ ହ୍ୟେତୁରେବା,

ଗାମି ପାନ୍ତି କିମ୍ବା.

(ଫିରମିଲାଙ୍ଗିନିଲାଦ ନ. କିମ୍ବାଲାସାଙ୍ଗାନ).

ତ୍ୟେଶ୍ୱର, ମାର୍ଗଲୀଳାନ, କମ୍ଭେନ ଓ ଏଣ କ୍ଷେତ୍ରିନ.

(ଫିରମିଲାଙ୍ଗିନିଲାଦ ପ. ପାତ୍ରକାନ୍ତାଶ୍ରମନ).

ହାତିକେଦେ, ମଜ୍ଜଦାରି ପ୍ରୟାନ, ଆଲାରୀ ମିଶ୍ରିଲ ମଜ୍ଜଦାରି ପ୍ରୟାନ;
ଯୁକ୍ତିଶି ବ୍ୟେଳି ଚିତ୍ରାରୁନ୍ତେ ନାମାକାରି ଅମାଲା.

ଲାଭି ଏହାଶ୍ରେଣ୍ୟ, ଲାଲାର ଲାଭାନ୍ତରୀୟ.

ჩქარა გამოსა ქმედი.

(წარმოდგენილი ჭ. სენაშვილისაგან).

წყალ წყალა ჩიტი წანწყარა წყალშე, წყალს არა სეამდა ბოლოს აქნევდა.

შ ა რ ა დ ა.

(წარმოდგენილი ჭ. საუგარელიძისაგან).

სახელი არის ქართველი მეფის,
რომელიც იყო ერთ დროს ძლიერი;
ნიჭით მაღალი, ლომ-გული,
სულ-გრძელი დოდ ლმობიერი.
გადასც-გადმოსცით აქა-იქ
ამ მეფის ყველა მარცვალი,
მიიღებთ ოთხ-ცეხს, გარეულს,
არც კუდი აქვს და არც რქანი.



ზ ე რ

(წარმოდგენილი მ. ღელაშვილისაგან).

წახელ იუდაე ითხოე შენდობას,
იქ არის ლმერთი შენი განმსჯელი,
ქრისტეს მტანჯველი არ ებრალება;
შენია ბინა მიწა ქეესკნელი.



ଏ ଦାଦିନାଯ୍ୟରେ ଲାହିରିର, ବିଳିଷ୍ଠିର,
ଥିଏତ ଏ ମର୍ଗଲିଙ୍ଗରେ ପୂଜ୍ୟନି, ଧନ୍ୟଲି,
ଶ୍ରୀଗୋଟିଏ ଲିଖିତରେ କାହିଁ—କୁର୍ଯ୍ୟରେ ମିଥିତ.
ପୁଣିଲିଙ୍ଗ କ୍ଷେତ୍ରରେ ଆୟତନେଲି
ଶ୍ରୀକୃତ୍ତିମନିର୍ଦ୍ଦେଶ ମୁଦ୍ରାର ଶ୍ରୀମତିପାତାରୀ, ପୁନ୍ଦରୀରୀ,
ଶ୍ରୀନାରାଯଣପାତାରୀରେ ସିଦ୍ଧିଲିଙ୍ଗ ମନେଲି.



ମେ ମେ ଗାମରାଚାନ୍ଦେବିରା.

ଅକ୍ଷରରେ ଶ୍ରୀକୃତ୍ତିମର ନାମରେ ପାଇବା ପାଇବା ପାଇବା ପାଇବା ପାଇବା
ଗାମରାଚାନ୍ଦେବିରା: 1) ନାମପାଇବା, 2) ସାମାଜିକ ପାଇବା, 3) କୃତ୍ତିମର ପାଇବା, 4) କୃତ୍ତିମରର ପାଇବା.

ଶ୍ରୀକୃତ୍ତିମର ନାମରେ ପାଇବା ପାଇବା ପାଇବା ପାଇବା

ନ	ମ	କ	ନ
ମ	ନ	ମ	
କ			
ନ			

ଶ୍ରୀକୃତ୍ତିମର ନାମରେ ପାଇବା ପାଇବା ପାଇବା ପାଇବା

ଶ୍ରୀକୃତ୍ତିମର ନାମରେ ପାଇବା ପାଇବା ପାଇବା ପାଇବା ପାଇବା

ଶ୍ରୀକୃତ୍ତିମର ନାମରେ ପାଇବା ପାଇବା ପାଇବା ପାଇବା ପାଇବା
ଶ୍ରୀକୃତ୍ତିମର ନାମରେ ପାଇବା ପାଇବା ପାଇବା ପାଇବା ପାଇବା

საქმიანი კილო ნახატებიანი უკუნალი

„ჯეჯილი“

წელიწადი მეთორმეტე

გამოდის 1901 წელსაც თვეში ერთხელ იმავე პროგ-
რამით, როგორათაც აქამდის.

შურნალი „ჯეჯილი“ მიღებულია თეოლისის საეპარ-
ქიო და კაკების ოლქის სამოსწავლო რჩევებისაგან
სასწავლებლების სამკითხელოებში საკითხავათ.

შურნალი „ჯეჯილი“ თეოლისში დატარებით ლირს
4 მან. თეოლისს გარეშე გაგზავნით 5 მან. ცალკე
ნომერი 50 კაბ.

ხელის მოწერა შეიძლება მხოლოდ წლით და ნახე-
ვარ წლით.

ხელის მოწერა მიიღება:

1) თვილისში — „წერა-კითხვის გამ. სახოგა-
დოების“ კანცელარიაში (Дворцовая ул. д. Груз.
Двор., № 101), და თვით „ჯეჯილი“-ს რედაქცია-
ში (Артиллер. ул. № 5, возлѣ Кадетского кор-
пуса).

ფოსტის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію
грузинскаго дѣтскаго журнала „Джеджили“.